140
1964.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამგეზი - 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი
დავით
ქაქაბაძე

შინ და გარეთ

სიმონ შამფრიანი

ვით ცას რიჟრაჟის ფერი,—
მას შენზე ფიქრი შვენის;
ის—ან დედაა შენი,
ან—დაა იგი შენი.

სად არ ანთია სანთიად
მისი მართალი ხელი!
ზღვაში ხომალდებს მართავს,
მინდვრად ვაჟკაცებს შველის.

უსათნოესი მზერით
თავს დაჰკანკალებს აკვანს...
ჩვენი მამულის გზები
სავარსკვლავეთშიც გაჰყავს;

ყველგან სიხარულს აპნევს,
ტრიალებს შინ და გარეთ...
დიდი მომავლის ლამპრებს
უნთებს სამშობლო მხარეს.

ომის მოძულე მარად,—
ის თვალს უსწორებს დრო-ჟამს;
მწვანე მთა-ბარის ფარად
მოაქვს მშვიდობის დროშა.

გულგაბრწყინებულს რწმენით—
წრფელი ქალობა შვენის:
ის—ან დედაა შენი,
ან—დაა იგი შენი.

ყოველი წელიწადი



93382

ზოგი რამ კაპროლაქტამზე

შეიძლება ვინმეს ეგონოს, — კაპროლაქტამის საწარმო რუსთავში იმიტომ აშენდა, რომ რუსთავი ქართული ინდუსტრიის ცენტრია. მაგრამ ეს მთლად ასე როდია. აი, რაშია საქმე: კაპროლაქტამის საწარმოებლად აუცილებელია —ჰაერის წლიური ტემპერატურა პლუს თხუთმეტ გრადუსს უდრიდეს. სწორედ ასეთი ტემპერატურაა რუსთავში. აქვეა აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ე. ი. ადგილზეა აზოტი, ტექნოლოგიური და ტექნიკური ამიაკი, წყალბადი და სხვა.

ყველაფერი ეს კი აუცილებელია „ლაქტამის“ მისაღებად. დარჩა ფენოლი და ალუმინი. ფენოლი მოსკოვის ახლო მდებარე ქალაქ ვოსკრესენსკიდან მოდის, ალუმინი კი — გროზნოდან.

ქარხანა განუწყვეტლივ მუშაობს. განუწყვეტლივ ახურავს ვეება მილებს კვამლის თეთრი ქუდები. შარშან, გაზაფხულზე კი აქ თითო-ოროლა შენობა იდგა. სწორედ მაშინ ეყრებოდა საფუძველი კაპროლაქტამის წარმოებას. მანქანებს მოჰქონდათ და მოჰქონდათ სილა, ხრეში, ცემენტი, აგური... დღეს ამაყად დგას მარეგულირებელი კოშკი, რომელიც შორიდან ანძას მოგაგონებთ. შარშან, გაზაფხულზე, იგი ობლად ჩანდა ჰორიზონტზე აჭვინტული მთებისა

ჟურნალი

3 მარტი 1964

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნინაგი პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საგაკვეთილო ფურცელი

ყოველისტი ასოლოდ ვაკეთ ვეიკეთეს ტანლ. ჩოსა ვეი. ვესსიეჩეს ტაკეთ ყეეს ეს ეიკეთეს ასოლოდ ჩაკ ეაკოოოეეეეეს.

ე. ი. ლენინი

ლურჯი ცის ფონზე, ახლა კი გვერ-
დით საიმედოდ ამოდგომია ბისულ-
ფატის საამქრო. ამაზე დიდი საამქ-
რო აქ ჯერჯერობით არც არსებობს.
მის ვეება ლუმელებში მოედინება
გოგირდოვანი გაზი, რომელსაც ამია-
კიან წყალში ხსნიან. რეაქციის შედე-
გი — ამონიუმის ბისულფატია, იგი
კაპროლაქტამის მიღების ერთ-ერთ
კომპონენტს წარმოადგენს. ეს არარ-
თული რეაქცია თითქმის ყველა მოს-
წავლემ იცის ქიმიის სახელმძღვანე-
ლოდან. მაგრამ აქ, ამ რეაქციის ჩა-
სატარებლად უზარმაზარი მილების
გაყვანა და უამრავ მოწყობილობათა
დადგმა დასჭირდათ.

ათასგვარი პროცესისა და გარდაქმ-
ნის შემდეგ, ხედავ მოთეთრო ფერის
ფხვნილს და სიამაყე გიპყრობს, —
ეს ხომ ჩვენი, ქართული კაპროლაქ-
ტამია. მალე ეს საწარმო გადაიქცევა
საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველა-
ზე დიდ ქარხნად, მუშების რაოდენო-
ბა რვაათასზე მეტს მიაღწევს და წე-
ლიწადში გამოუშვებს ათას ტონო-
ბით კაპროლაქტამს, რისგანაც და-
მზადდება მილიარდი ცალი საწვიმა-
რი ლაბადა, ავტომანქანისა და თვით-
მფრინავების გამძლე საბურავები,
ფართო მოხმარების საგნები. მოკ-
ლედ, დახვავდება უამრავი სიმდიდ-
რე; კაპროლაქტამი ხომ ოქროდ
ფასობს.

შრომის სიხარული

ზაური ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე
ბევრი რამის ნახვა მოასწრო, მთელ
რუსთავში ვერ ნახავთ კაცს, რომ-
ელიც ზაურს არ იცნობდეს. ეს იმი-
ტომ, რომ გამრჯე და საქმის მოყვა-
რულია. საშუალო სკოლის დამთავ-
რების შემდეგ რუსთავში ჩამოვიდა,
— უმაღლესში შესასვლელ სტაჟს
დავაგროვებო, მაგრამ შრომა მისთ-
ვის სტაჟის დასაგროვებელ საშუა-
ლებად კი არა, სულიერ მოთხოვნი-
ლებად იქცა. ჩქარა მიიპყრო მეგობ-
რების ყურადღება. და აი, ზაური კა-
პროლაქტამის ქარხნის მშენებლობა-
ზე გადაიყვანეს, კომკავშირული ბრი-
გადა ჩააბარეს და უთხრეს:—აბა შენ
იციო. ჰოდა, მანაც ისახელა თავი.
1960 წელს კომუნისტური შრომის
ბრიგადების ხელმძღვანელთა საკავ-
შირო თათბირზე მიიწვიეს და დაა-
ჯილდოვეს მედლით „შრომითი წარ-
ჩინებისათვის“. უმაღლესში, რა თქმა



უნდა, შევიდა, ოღონდ ქიმიის განყოფილებაზე, წინათ კი... ხიდების მშენებელი უნდოდა გამოსულიყო.

ზაური ამას ჰყვება და თან ანალიზებს ათვალიერებს. (იგი ახლა ცვლის უფროსია). — წარმოება ახალია, — ამბობს ზაური, — არის ბევრი წარმატებაც და მარცხიც, — ათასი თვალი და ყური გვჭირდება. არც-ერთი წვრილმანი არ უნდა გამოგვეპაროს.

ბრიგადირი ახლა. საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების უზარმაზარ ოთახში ზის. მეპარატეებთან ერთად, დახარჯული ორთქლის რაოდენობას ამოწმებს. კედლებზე პაწია ციმციმა ნათურები აპაჭუნებენ თვალებს. ფირფიტები, ისრები, ციფრები... ეს ოთახი მთელი კორპუსის გულია. გული — ავტომატი ადამიანებთან ერთად ფიზიზლობს... დღე არ გავა, რომ ხელსაწყოებში რაღაც ცვლილება არ შეიტანონ. ზაურის ცვლაში ბევრი კარგი რაციონალიზატორია. შარშან ქარხანაში კონკურსი მოეწყო საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებაზე. ზაურის საამქრომ, როგორც წესი, პირველი პრემია დაისაკუთრა.

ზაური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილეა. იგი ბევრ საინტერესო ამბებს გვიყვება მოსკოვზე, ქიმიის გრანდიოზულ შესაძლებლობაზე და კიდევ იმ ისტორიულ დღეზე, 13 დეკემბერზე, როცა ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს მოახსენა, რომ მშენებლობა დამთავრდა და მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის მსხვილი საწარმო.

ბიოგრაფია

კაპროლაქტამის საწარმოში ხუთასი კომკავშირელია. რამაზ ქოჩორაძე სათითაოდ იცნობს ყველას. იგი საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანია, ანუ, როგორც მას ეძახიან, „ავტორიტეტული პიროვნებაა“. იმ დღეს, როცა პარტიისა და მთავრობის მოლოცვა მოვიდა, სახელდახელო საღამო მოაწყეს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ეს იყო ბედნიერი დღე.

შინ რამინ რამინაშვილთან ერთად დაბრუნდა. თბილი, უღრუბლო ღამე იყო. საერთო საცხოვრებელს სიჩუმე დაუფლებოდა. რამინმა სახლში მიიპატიჟა რამაზი, — სოფლიდან ხილი გამომიგზავნეს და დამეწვიეო. შევიდნენ, დასხდნენ, რადიომიმღები ჩართეს. რამაზმა მიმოიხედა. ლოგინის თავზე მშობლების სურათი ეკიდა. მაგიდაზე წიგნები იყო დახვავებული, ხოლო კუთხეში, ჩემოდანზე ჯარისკაცული ქუდი, სამხრეები და ქამარი ეწყო. რამაზს არასოდეს არაფერი უკითხავს რამინისათვის. მაგრამ ამ ჭაბუკზე მან ყველაფერი იცოდა, მთელი მისი ცხოვრება მკაფიოდ ჩანდა ამ ნივთებში, — ეს იყო მისი წარსული, მისი აწმყო, მისი მომავალი. მთელი მისი ბიოგრაფია ძალიან გავდა იმ მრავალი ახალგაზრდის ბიოგრაფიას, რომლებიც ქარხანაში მოვიდნენ.

ერთხელ...

სულიკო გიორგაძე აქსიმირების პროცესზე მუშაობს. შალის უხეში ქსოვილის კურტაკი აცვია. რეზინის უზარმაზარ ჩექმებს მოაბრახუნებს, ფეხის ხმაზე ცნობენ. გულღია და მუყაითი ბიჭიაო, ამბობენ მასზე. ამიტომაც უყვართ. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, იფიქრა: მოდი ქვეყანას გადავავლებ თვალსო. მაგრამ მშობლებმა დაუშალეს, „ხარაგაულს რა სჭირს შენი დასაწუნი, ცა აქაც წვდება და ხალხი აქაც ცხოვრობსო“. მაინც გაიპარა. კაპროლაქტამის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. ერთმა წელმა თვალდახელშუა განვლო. ამასობაში აქსიმირების უფროს მეპარატედ დანიშნეს და მანაც მტკიცედ გადაწყვიტა — ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ნდობა გავამართლოო. ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის ფილიალში მოეწყო. მერე უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე ჩაეწერა. ასე „უშფოთველად“ მიდის მისი ცხოვრება. მას, რა თქმა უნდა, ეს არ აკმაყოფილებს. ლოკოკინა ხომ არაა!

სულიკო მეოცნებეა. მას ბევრი მეგობარი ჰყავს. აბა, რა კოლექტივია ის კოლექტივი, სადაც მეგობრობა და ერთმანეთის გატანა არ იციან. საამქრო ოთხ ცვლად იყოფა. სულიკო ყველას იცნობს. ზის დანადგრების წინ. უყურებს მოწყობილობებზე ამოძრავებულ ისრებს. ხანდახან რომელიმე ისარი საეჭვოდ გადაიხრება; სულიკომ იცის, რომ სადღაც, მეთორმეტე ნაჭდევზე, სითბომ სამოცდაათ გრადუსამდე დაიწია. ასეთი ტემპერატურის დროს ოქსინი იყინება. ინთება გამაფრთხილებელი წითელი ნათურა, რაც იმას ნიშნავს, რომ მილი ქიმიური ნივთიერებით გაიჭედა. პროცესი შეწყდა. შემოირბენს ცვლის უფროსი არჩილ შვანგირაძე. შეამოწმებენ ანალიზებს, ერთხელ კი-

დევ გადახედავენ საკონტროლო-საა-პარატო მოწყობილობას და დასკვნასაც გამოიტანენ, — საჭიროა მილის სასწრაფო დაორთქლვა... ცოტა ხნის შემდეგ მოწყობილობებზე ისევ ამოძრავდებიან ისრები...

სულიკო ხარაგაულიდან რომ იყო გამოპარული, ეს მთელმა საწარმომ იცოდა. ამიტომ არ გაკვირვებიათ, როცა ერთ მშვენიერ დღეს ქარხნის ადმინისტრაციაში ჭაღარა მამაკაცი დაინახეს, რომელიც სულიკო გიორგაძეს კითხულობდა. მამა ვარ მისიო. ახლა სამუშაოზეაო, — უთხრეს. მამაკაცმა უხერხულად გაიღიმა: ხომ ვერ მიმასწავლით, სად ვნახავო. მიასწავლეს, მაგრამ კარებში არ გაატარეს, არ შეიძლებაო.

— ერიჰა, — გაიკვირვა მამაკაცმა, —როგორ თუ არ შეიძლება?!

— ასეთი წესია, — უპასუხეს.

— ყველაფერს ვიფიქრებდი და ჩემს ბიჭთან თუ უსაშვოდ არ შემიშვებდნენ, არ მეგონა.

— რომელია თქვენი შვილი? — დაინტერესდა კარებში მდგომი.

— სულიკოა, ბატონო, გიორგაძე.

— აა, სულიკოს მამა ბრძანდებით?! სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მობრძანდით, გეთაყვა. ხედავთ იმ მაღალ კაცს? ის პირდაპირ სულიკოს საამქროსკენ მიდის, ის მიგასწავლით...

ის ახოვანი, რომელიც საამქროს უფროსი ალექსანდრე ლეფსაია აღმოჩნდა, ჭკვიანი და წინდახედული კაცი გახლავთ. მან განგებ მოატარა მთელი საწარმო. გზადაგზა სხვადასხვა პროცესებს უხსნიდა. უზარმაზარ ღუმელებშიც ჩაჰვრიტა სპეციალურ სათვალთვალო წერტილიდან. მერე აქსიმირების განყოფილებაშიც შეიყვანა. აქ კი ვეღარ მოითმინა მამაკაცმა და საამქროს უფროსს უთხრა: — ამხელა საქმეს თუ აპირებდა ი გაწრიპული ბიჭი, ვერ მითხრა? რას გამორბოდა, ჩემით ჩამოვიყვანდი, დავაბინავებდი... ნამეტანი უცნაური თაობა გვეზრდება... ახლა შეიძლება ნაწყენიც იყოს ჩემზე...

— არაფერია შეგარიგებთ, — უთხრა საამქროს უფროსმა ღიმილით.

აი, მოკლედ, მთელი ამბავი, რაც სულიკო გიორგაძეს ეხება.

ჰეროიკა

მზა პროდუქციის საამქროში დაბალი, ჩაფსკვნილი ჭაბუკი გამოჩნდა.

— მე რედაქციიდან ვარ, — გააცნო მან თავი პირველივე შემხვედრ მუშას, — პავლე მურმანიშვილს ვეძებ.

— ზევით და მარცხნივ.

ზევით და მარცხნივ. იქ კიბეებია. კიბეებს რომ აათავებ, პატარა მოედანია, რომელზედაც უზარმაზარი ქვაბები ამობურთულა. როგორც იქნა მიაგნო ცვლის უფროსს.

— ვერ ჩამაწერინებთ მოწინავე მუშებს?

— რა თქმა უნდა. გივი მეტრეველი, რომელსაც ბედნიერება ხვდა წილად — მიეღო პირველი ლაქტამი, ცვლის ოსტატი ჯუმბერ ნამგალაძე, უფროსი მეაპარატე ჯუმბერ ლორია..

კორესპონდენტი წერას მორჩა, მერე თავი ასწია.

— იცით, მე მინდა რაღაც... — მას უნდოდა ეთქვა: „რაღაც მნიშვნელოვანი, საგმირო“, მაგრამ არ დაასრულა. წნეხმა ლაქტამის მოწოდება შეწყვიტა, პავლეს გამოუძახეს. პავლემ სათვალეები გაიკეთა, ჩახედა ვაკუუმს, დიდხანს სინჯავდა რაღაც მოწყობილობას, მერე ზეინკალს — კოტე ღონღაძეს მოუხმო,—„ვინტილია გასასწორებელიო“, და ისევ ჩამოვიდა ქვევით.

— დიახ, გისმენთ.

— მე მინდოდა რაღაც...

ცვლის უფროსს ისევ დაუძახეს. დანადგარში, სადაც წყალში გახსნილი ლაქტამის აორთქლება ხდება, არ იქნა და არ მოხერხდა ორთქლის დაკონდესირება. პავლე სადღაც გაქრა, მერე სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭები სადღაც გარბოდნენ, საიდანღაც რაღაც ნაწილები მოჰქონდათ და ისევ გარბოდნენ. ბოლოს გამოჩნდა პავლეც. გაოფლილი, ზეთში ამოსვრილი, მიჭეჭყილ თითს წამდაუწუმ იორთქლავს, ეტყობა, სტკივა. მან ბოდიში მოიხადა და მხიარულად გაიღიმა: ახლა ნამდვილად

ვალერი ზარიძე.

გისმენთო, მაგრამ „წისქვილში“ გამოუძახეს. „წისქვილები“ კრისტალური ლაქტამის ჩამომფრქვავი დოლაბებია. ხარისხი უნდა შეეამოწმებინა სასწრაფოდ. ნახევარი საათის შემდეგ მურმანიშვილი ისევ ჩამოვიდა ქვევით, სადაც კორესპონდენტი უცდიდა.

— გაგაწვალეთ, მაგრამ ჩემი ბრალი არაა. რა გნებავდათ?

კორესპონდენტმა ბლოკნოტი ამოიღო.

— მე მინდოდა, გეამბნათ საინტერესო საქმეთა ამსახველი ფაქტი, აქ უნდა ჩანდეს სიმამაცე, თავდადება... ჩვენი დრო ხომ ჰეროიკას მოითხოვს.

მურმანიშვილი ჩაფიქრდა, გაჭეჭყილი ხელი ხალათის ჯიბეში ჩამალა, მეორეთი კი ოფლი მოიწმინდა.

— სინდისს გეფიცებით, არ ვიცი რა გითხრათ — მოიბოდიშა მან. — ჩვენთან ყველაფერი ჩვეულებრივია.. იქნებ ანოლის საამქროში გადავსულიყავით, ა?

კაპროლაქტამის საამქროს კომკავშირული ბრიგადის წევრები თამარ კობახიძე, იზოლდა კეკელია, ვალენტინა შესტაკოვა, რობინზონ შოშიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაკი და კაპროლაქტამი

კაპროლაქტამის მიღების მთელმა პროცესმა არ შეიძლება ბავშვობაში ნასწავლი რწყილისა და ჭიანჭველას არაკი არ მოგაგონოთ. მაგრამ დღეს იგი ცოტათი თანამედროულად გამოიყურება. ჯაგარი ხომ დიდი ხანია მოდაში აღარაა, ამიტომ წყალში ჩავარდნილი ძმობილის გადასარჩენად რწყილი კაპრონის ძაფის მოსატანად მიეშურება. „რაო, კაპრონის ძაფი მინდაო?! —გაიკვირვა კაპროლაქტამის საწარმოს პირველმა კორპუსმა, —შენ ხომ ჩემთვის ფენოლი არ მოგიტანიაო“. წავიდა რწყილი და მოიტანა ფენოლი. ამუშავდა უზარმაზარი ღუმელი, აკვამლდა, ადუღლუნდა და გაჩერდა. „შენ რომ ჩემთვის წყალბადი არ მოგიტანიაო,—უთხრა მეორე კორპუსმა რწყილს, — თუ ფენოლი მოიტანე, უნდა იცოდე, რომ პირველ კორპუსში მან ჰიდრირება განიცადა, ჩემს მილებში ნედლი ანოლი გადმოუშვა, რომელიც 0,5 პროცენტ მინარევს შეიცავს. ჩემი კორპუსი კი დეჰიდრირების კორპუსია. ჩემს ღუმელებში მინარევებიანი ანოლი დაიწმინდა და ნედლ ანოლად გადაიქცა“. წავიდა რწყილი და მოიტანა წყალბადი. მერე სულფატამონიუმისა და რექტიფიკაციის საამქროებმა წამოაყენეს თავისი მოთხოვნილებანი... ისინი ათასნაირ გაზებსა და ნივთიერებებს ითხოვდნენ; რა უნდა ექნა რწყილს, ძმობილს გასაჭირში ხომ არ დატოვებდა, თანაც ეს ათასნაირი მინარევები აქვე, ქარხნის ტერიტორიაზე იყო. ორ ნაბიჯს ხომ არ დაზარდებოდა...

და აი, ბოლოს მზა პროდუქციის საამქროში მოხვდა. მაგრამ აქ უთხრეს: „ნუ ჩქარობ, კაპროლაქტამმა ჯერ კიდევ რამდენიმე პროცესი უნდა გაიაროს, ის ხომ ოცდაათ პროცენტ ლაქტამსა და სამოცდაათ პროცენტ წყალს შეიცავს. ამიტომ, ლაქტამის კონცენტრაცია უნდა ავაორთქლოთ, რათა აორთქლების ხარჯზე ლაქტამის რაოდენობამ 97 პროცენტს ააღწიოს“. დაღონდა რწყილი, შეიძლება ამასობაში კიდეც დაიღრჩოს ჩემი ძმობილი ჭიანჭველაო. მაგრამ მალე ზურგზე ერთი მუჭა მოთეთრო-მოყვითალო ფერის ფხვნილი აჰკიდეს და უთხრეს: „აი, შენ—კაპროლაქტამის ფხვნილი, მიიტანე მეზობელ საამქროში და კაპრონის ძაფს ჩაგაბარებენო“...

თქვენ, ალბათ, მიხვდით, რომ რწყილიც სწორედ ასე მოიქცა და თავისი ძმობილი ჭიანჭველა გადაარჩინა.

მერეც დიდხანს იგონებდა რუსთავის კაპროლაქტამის ქარხნის მუშებს, რომლებმაც ასეთი საიმედო და მაგარი ძაფი აჩუქეს...

გიორგი სანაღირაძე

ფოტო **დავით იაკობაშვილისა**

უშიშა

მედეა ქახიძე

ნახ. **ლია სვანიძისა**

უშიშა თორმეტი წლის ბიჭია და
მისი თორმეტი წლის ოცნებაა—
ანკესები და ხირიმის თოფი...
უშიშა თვითონ
არ ყოფილა ქალაქად,
ბევრი კი უნახავს
ქალაქში ნამყოფი.
უშიშას ამ მთებში
არაფრის ეშინია,
მარტოკა ნადირობს ხევ-ხევ,
მთებივით დიდი გული
მთებთან მიაქვს,—
ნატრობს—
დათვს წააწყდეს ერთხელ.
უშიშა ირემივით
თვალებით ლაპარაკობს,
თავს მთების მბრძანებლად თვლის.
ცხენი ჰყავს
ფიცხი და საარაკო,
დაცვითა ბილიკები მთის.
უშიშას არ ეშინია არაფრის,
გინდა გზას
ხიფათი ეწეროს;
ჩიტივით მიუვა
მალალ მთის
აი, იმ მიუვალ კენწეროს.
უშიშა არწივივით ფრენას ბედავს
და ფრთებს
მთის ჩრდილივით შლის,
სალამო ხანს
აი, იმ მთაზე
აირბენს და
ძროხებს ჩამოლაღავს ძირს;
უშიშას
ეს მთები
თავსაც ურჩევნია,—
ვერავის ათქმევინებს ძვირს!

ჩემს ბავშვობაში მოხდა ეს ამბავი და, ახლა თუ ისე ვერ გიამბობთ, როგორც მაშინ განვიცადე, იმას დააბრალეთ, რომ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა...

მაშინ საბურთალოზე ვცხოვრობდით.

ჩვენი დღე ასე იწყებოდა: დილით მაღვიძარა საათი დარეკავდა, მე და დედა ვიღვიძებდით. მამა უკვე ჩაცმული იყო; მოვიდოდა, მაკოცებდა და მეტყოდა:

— როგორა ხარ, ჩემო კუსტიკინა ბიჭო!

მერე ხელში ამიყვანდა და მაღლა შემისროდა; თვალები უცინოდა.

მე ჩემს ჯოხ-ცხენას გადავაჯდებოდი და დერეფანში დავრბოდი. დერეფანი ვიწრო იყო. ყველა ოთახის კართან ეწყო ტაშტები, ვედროები, კედლებზე ეკიდა პირსაბანები. მეზობლები კარებს აღებდნენ, გამოდიოდნენ და პირს იბანდნენ. ჩემი ჯოხ-ცხენა ხან მათ ხვდებოდა ფეხებზე, ხან-ვედროებს, და ისედაც აფორიაქებულ დერეფანს ხმაური ემატებოდა.

— კარგი, ბიჭო, გეყოფა, შე საძაგელო!—მიყვიროდა დეიდა ბაბილინა, ჩასუქებული ქალი. ის მამაჩემთან ერთად მუშაობდა საამქროში. მამას, რატომღაც, არ უყვარდა ეს ქალი.

მამა ოთახიდან გამოვიდოდა და დამიძახებდა:

— მოდი, ხელ-პირი დაიბანე!

— დავიბან, მაგრამ საპნით არა!

რასაკვირველია—საპნით დამბანდა, მერე პირსახოცს მესროდა, — ჩქარა, მაგიდასთან!

საუზმის შემდეგ ხელს ჩამკიდებდა და ოთახიდან გამოვდიოდით. დედა მაგიდას აალაგებდა, კარს გამოკეტავდა და მალე დაგვეწეოდა ხოლმე. მამა მეზობლის კარზე მიაკაკუნებდა და მაშინვე შეაღებდა:

— გრიშა, მოდიხარ?

— ეზოში დამიცადე!

კიბეზე ჩამოსვლისას მამა რაღაცას ელაპარაკებოდა დედაჩემს და იცინოდა.

კიბეზე ის ყოველთვის იცინოდა.

ძია გრიშა თავის გვის მოარბენინებდა და გზაში შემოგვიერთდებოდა ხოლმე. გვი ერთი წლით იყო ჩემზე უფროსი. საბავშვო ბაღში ერთად დავდიოდით.

გმირთა მოედნიდან ალმართს ავუყვებოდით, მამაჩემი და ძია გრიშა ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომობანას თამაში

მიხეილ ქოკალეიშვილი

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ამ მოთხრობას ჩვენს კონკურსზე
მესამე პრემია მიენიჭა.

ნენ, ფაბრიკის მეკარეს გამარჯობას ეტყოდნენ, ჩვენ ხელს დაგვიქნევდნენ და ეზოში შედიოდნენ. დედაჩემი მე და გივის საბავშვო ბაღში მიგვიყვანდა და დეიდა ქეთოს ჩაგვაბარებდა.

...ყველაზე უფრო ომობანას თამაში გვიყვარდა. ვიყოფოდით წითლებად და თეთრებად; წითლების მეთაური ყოველთვის გივი იყო. თეთრების მეთაური კი—მე. ვიმალებოდით, დავძვრებოდით ბუჩქებში და ვეძებდით ერთმანეთს. გივი ეფარებოდა ეზოში დაგდებულ დიდ კასრს. ვხედავდი, — როგორ მეპარებოდა, შემეძლო მესროლა და მომეკლა, მაგრამ წითლების მეთაურის მოკვლა არ მინდოდა. ომი მთავრდებოდა, წითლები იმარჯვებდნენ, — ისინი არასოდეს არ კვდებოდნენ...

იმ დღეს არც მამა წასულა სამუშაოდ და არც ძია გრიშა.

იმ დღეს არც ჩვენ წავუყვანივართ საბავშვო ბაღში.

...იმ დღეს ომობანა არ გვითამაშნია...

იმ დღეს ნამდვილი ომი დაიწყო.

მამაჩემისაგან გავიგე, რომ ბრძოლები ჩვენგან ჩრდილო-დასავლეთით მიმდინარეობდა. მე არ ვიცოდი, საით იყო ჩრდილო-დასავლეთი. ვიცოდი მხოლოდ: შემოგვესივნენ გერმანელები და სადღაც ნამდვილი ომი იყო. ადამიანები ესროდნენ ერთმანეთს ნამდვილი შაშხანებიდან, ტყვიამფრქვევებიდან; თვითმფრინავებიდან ყრიდნენ ბომბებს; დახოცილებს თვალები და პირი ღია ჰქონდათ. მე ვფიქრობდი, — სადაც ომია, იქ უნდა იყვნენ მამაჩემი და ჩემი თანატოლების მამებიც. ისინი მოკლავდნენ გერმანელებს და დაბრუნდებოდნენ გამარჯვებულები, რადგან წითლები ყოველთვის იმარჯვებდნენ და ომში არ კვდებოდნენ არასდროს.

თბილისი შეშფოთდა, ნერვიული გახდა. ქუჩებში ზარბაზნები, ტანკები, სამხედრო ნაწილები გამოჩდნენ. ქალაქმა მოიწყინა.

მე და გივი ხის შაშხანებს ვფერავდით, როცა ძია გრიშა ზურგჩანთით ოთახში შემოვიდა და დედაჩემს უთხრა:

— აბა, შენ იცი, თამარ; შენ გიტოვებ ჩემს ბიჭს!

მგონი, ძია გრიშა სულაც არ მიყავდათ ჯარში და განცხადება თვითონ შეიტანა.

— ცხვირი ნუ ჩამოგიშვია, ბიჭო, ცხვირი! — უთხრა მამაჩემმა,—ერთს მივანგრ-მოვანგრევთ და ჩამოვალთ!

— ვინ იცის, შეიძლება, ვერც ისე მალე ჩამოვიდეთ!

მამამ ზურგჩანთა აიღო, მაგიდასთან მივიდა, ჭიქები შეავსო, დედასა და ძია გრიშას მიაწოდა და თქვა:

— ჩვენი გამარჯვებისა და მალე დაბრუნებისა იყოს!

მერე ყველანი დავსხედით; სიჩუმე ჩამოვარდა...

როცა კიბეზე ჩამოვდიოდით, მამა არ იცინოდა.

გამომშვიდობებისას მამამ ხელში ამიყვანა, გადამკოცნა, მაღლა შემისროლა და მითხრა:

— ჩემო კუსტიკინა ბიჭო!

აწლაც ჩამესმის ძია გრიშას გაგუდული ხმა:

— აბა, შენ იცი, თამარ... აბა, შენ იცი... აბა...

მე და გივი მამაჩემის საწოლში ერთად ვწვებოდით ხოლმე. ცოტა ხნის მერე დედამ მუშაობა დაიწყო აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში...

ჩვენ ისევ ვთამაშობდით ომობანას. გივი ისევ წითლების მეთაური იყო. წითლები ყოველთვის იმარჯვებდნენ...

ჩვენს ეზოში საღამოობით ორომების თხრა დაიწყეს. მაგონდება, როგორ ყვიროდა მილიციელი შუაღამისას:

— მესამე სართული, მესამე ფანჯარა, სინათლე! მეორე სართული...

მე და გივის გვჯეროდა, რომ ჩვენები ომში არ კვდებოდნენ; მაგრამ ერთ დღეს ვიღაც კაცმა მოიტანა რაღაც ქაღალდი და დედაჩემს გადასცა. დედამ თმები გაიშალა და კივილი მორთო. მე არა მჯეროდა, რომ მამას გერმანელები მოერეოდნენ...

მერე მეორე დეპეშა მოიტანეს; არც გივის სჯეროდა, რომ მამამისს გერმანელები მოერეოდნენ.

ის დღე იყო და ის, — ომობანა აღარ გვითამაშია.



ალიო მირცხულავა

(დაბადების 60 წელი)

ორმოცი წელზე მეტია, ქართული ლექსის ჭაპანს სახელოვნად ეწევა გამოჩენილი პოეტი ალიო მირცხულავა (მაშაშვილი).

ალიო მირცხულავა ერთ-ერთი პირველთაგანია იმ პოეტებს შორის, რომლებმაც ურყევი ბალავარი დაუდეს ქართული საბჭოთა პოეზიის სასიქადულო ტაძარს.

არაერთი თაობა აღუფრთოვანებია ალ. მირცხულავას მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით ამეტყველებულ ლექსებსა და პოემებს. მისი პოეტური სიტყვა მუდამ შთაგვაგონებს მამულის უანგარო სიყვარულს, მშობელი ხალხისადმი, საქვეყნო საქმისადმი ერთგულებასა და თავდადებას.

ქართველმა ხალხმა სამუდამოდ შეიყვარა „ჰიმნი სამშობლოს", „დამკვრელი ბრიგადები", „საქართველო—გმირთა დედა", „ვერხვი", „ძმები", „ჩანგი", „ენგური"... ბევრი ლექსი კი, დიდი ხანია, სიმღერებად იქცა.

დღესაც, ალიო მირცხულავას ყოველი ახალი ლექსი კვლავ ჭაბუკური მგზნებარებით ფეცერს, ყოველ სტრიქონში ჩქეფს მზისა და სიცოცხლის დაუშრეტელი სიყვარული...

ვუსურვებთ საყვარელ პოეტს დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

ყოველი წლის დასასრულს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხდება სპორტული წლის შედეგების შეჯამება. ერთ-ერთი ყველაზე მასიურ რეფერენდუმს ყოველ წლიურად ატარებს გერმანიის პრესის ერთ-ერთი სააგენტო. მსოფლიოს 28 ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ასახელებენ სეზონის ხუთ საუკეთესო სპორტსმენს: (საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობს გაზეთი „სოვეტსკი სპორტი"). პირველი ადგილისათვის იწერება 5 ქულა, მეორისათვის — 4, მესამისათვის— 3, მეოთხისათვის—2, მეხუთისათვის — 1.

ასეთი რეფერენდუმი უკვე 17 წელია ტარდება. პირველად, 1947 წელს ეს ტიტული ფრანგ მოცურავეს ალექს ჟანის ხვდა წილად. 1948 წელს—ჰოლანდიელ მძლეოსან ქალს ფანი ბლანკერ-კოენს. 1949, 1951, 1952 წლებში მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენის სახელი მოიპოვა ჩეხმა მორბენალმა ემილ ზატოპეკმა. 1950 წელს პირველ ადგილზე იყო ამერიკელი ათჭიდელი მატიასი, 1953 წელს — იტალიელი ველოსიპედისტი კოპი, 1954 წელს — ინგლისელი ბანისტერი, 1955 წელს—უნგრელი მორბენალი იხაროში. 1956-57 წლებში — საბჭოთა მძლეოსანი კუცი, 1958 წელს—ავსტრალიელი მორბენალი ელიოტი, 1959 წელს —საბჭოთა ათჭიდელი კუზნეცოვი, 1960 წელს—ამერიკელი ზანგი მორბენალი ქალი ვილმა რუდოლფი, 1961-62-63 წლებში— საბჭოთა სპორტსმენი, სიმაღლეზე მხტომელი ვალერი ბრუმელი.

1963 წელს, მსოფლიოს 28 ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების მიერ მიცემული ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

პირველი ადგილი, 64 ქულით, ვალერი ბრუმელს ხვდა წილად. როგორც ცნობილია, მისი უკანასკნელი მსოფლიო რეკორდი—2,28 მეტრს უდრის; მეორე ადგილზე (62 ქულა) გამოვიდა ამერიკელი ჭოკით მხტომელი—ჯონ პენელი, მისი რეკორდი 5,20 მეტრია; მესამე ადგილი (54 ქულა) დაიკავა ამერიკელმა მოცურავემ დონ შოლანდელმა, რომელმაც არაერთხელ გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მეექვსე ადგილზე გავიდა იური ვლასოვი, მეთხუთმეტეზე — ლევ იაშინი.

სეზონის საუკეთესო სპორტსმენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ეკა მიქაბერიძე
ლამარა ბოკერია

ფოტო
გურამ ქიმერიძისა

... ქართველი პიონერები

ამღერებათ და მღერიან... უმღერიან აღორძინებულ მთა-ველს, ქართულ ვენახს, შრიალა ბაღებს, მღელვარე ყანას... ძველისძველსა და განახლებულ ქართულ მიწა-წყალს...

მესხეთში დაღვრილი სისხლისა და ოფლის ყოველი წვეთი შეიწოვა ქართულმა მიწამ, სათუთად შეინახა თავის წიაღში ქართული სული და საუკუნეების შემდეგ კვლავ ამოხეთქა, მწვანე ბალახად მოედო, ყლორტებად იქცა, წყაროებად და ნაკადულებად აჩუხჩუხდა...

ძველი მესხეთი იგივე ზემო ქართლია, იგივე სამხრეთ საქართველოა, სამცხე კი მისი ნაწილია. რატომ დაერქვა მესხეთი?

ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ამ მხარეში გაბატონდნენ მუშკები, იგივე მესხები, და ამის გამო სამხრეთ საქართველოს მესხეთი დაერქვა. მესხეთი გაშლილი იყო მდინარე ჭოროხის აუზში. მესხეთში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... სამცხე, ნაწილი მესხეთისა, არაერთგზის აოხრებულა შემოსეული მტრისაგან. არაბები, ბიზან-



ვარძია.



აწყურის გზაზე.



ხერთვისი.

ტიელები, სელჯუკიანი თურქები, მონღოლები წამლეკავ ტალღად ედებოდნენ ამ მხარეს, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებდა ფეხზე დადგომასა და აღორძინებას, ვიდრე ოსმალო-თურქებმა არ დაიპყრეს.

ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, ასპინძა მოწამენი არიან იმ დიდი ბრძოლებისა, რომელნიც გადახდა სამხრეთ საქართველოს მკვიდრთ.

ძველი დიდების უტყვი მოწმენი არიან ზარზმა, საფარი, ჭელისა და ბიეთის ტაძრები, მათი სამრეკლოები, ფრესკები და წარწერები, მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ვარძიაა, — კლდეში გამოკვეთილი ქალაქი.

ქართველთა ძალამ, ხელმა, ნათელშა გონებამ შეჰქმნა ეს დიდებული ციხე-ქალაქი...

ვარძია თითქოს ოცნებით გასცქერის თმოგვის ციხეს, ხერთვისს, დანგრეულ ქალაქს — წუნდას, გასცქერის და ფიქრობს, როგორ დაუბრუნდა ამ ნატანჯ მიწა-წყალს სიცოცხლე. მას ახსოვს ტყით შემოსილი მაღალი მთები, დამძიმებული თავთუხები, ქერისა და ჭვავის მოკურდღლავე ყანები, უსაზღვროდ გაშლილი ზვრები და ხილის ბაღები, ლურჯად მოღაღანე ბაღჩა-ბოსტნები, ახსოვს ფუტკრების სიმღერა, მწყემსების სიმღერა ახსოვს...

ახსოვს წყეული ძნელბედობაც, ფლოქვების თქარუნი, ხმლების ჩახაჩუხი, დაჭრილთა კვნესა და ქალების მოთქმა-გოდება. ეს იყო XIV საუკუნის დამდეგს, როცა ოსმალო-თურქები შემოესივნენ ამ მხარეს და ნაცარტუტად აქციეს მწვანე მთები და ველები, გაჩეხეს ტყეები, გადაწვეს ყანები, აჩეხეს ვაზები, დაარბიეს ციხე-დარბაზები.

ქრისტიანული ტაძრების ნაცვლად აღიმართა მინარეთები და მეჩეთები, ქართული დარბაზების ნაცვლად სოკოებივით მომრავლდნენ თურქული ქოხმახები, გაწყდა წყალში თევზი და ტყეში ნადირი. დაცარიელდა 300-მდე სოფელი. სოფლებში მხოლოდ აქა-იქ თუ ამოდიოდა კვამლი. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მტერმა მიიტაცა.

200 წელზე მეტი დასჭირდა მძვინვარე მტერს — საშინელი სისხლის ღვრისა და აოხრების შედეგად დაეპყრო სამცხე, მოესპო ათაბაგობა და შეექმნა ახალციხის საფაშო.

ეს აუტანელი მდგომარეობა გაგრძელდა XIX საუკუნის დასაწყისამდე. რუსთა და ქართველთა რაზმებმა აიღეს ახალციხე და ამით მოშალეს ოსმალეთის ბატონობა. მიტაცებული ჩვენი მიწა-წყალი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა.

ახლა მესხეთის მიწაზე ცხოვრობენ რაჭის, იმერეთის, მთიულეთ-გუდამაყრის, ქართლისა და ჯავახეთის მწირი ადგილებიდან მოსული ქართველები. კვლავ აინთო ჩამქრალი კერიები, კვლავ შემოესვია ჭიგოს ვაზის ლერწი, კვლავ დაირწა პურის ყანა, აღელდა ქერი და ჭვავი, ალურჯდა ბაღები და ბაღჩები, შეეფინა ნახირი მთას, ამღერდა ფუტკარი, წყალში თევზი მომრავლდა და ტყეში ნადირი. ახლა თამამად იმეორებენ მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრნი მამაპაპათაგან გაგონილ ხალხურ ლექსს:

მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა...

დღეს აქ ყველაზე მეტად იგრძნობა განახლებისა და აღორძინების დიდი წყურვილი, სიცოცხლის დიდი სიყვარული... შრომის დიდება გუგუნებს ყველგან; ახალ შენობებს ხსნიან ხარაჩოებს, გაჰყავთ ახალი გზები, იჭრება ახალი არხები, ხმაურობენ ექსკავატორები და ამწეები, ტრაქტორები და კომბაინები.

ამ დიდ შრომის ფერხულს პატარებიც უბამენ მხარს.

აი, ესენი ამშვენებენ ქალაქის ქუჩებს, ხეივნებს, აგროვებენ ჯართს, ეხმარებიან უფროსებს საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში, იცავენ სისუფთავეს ეზოებსა და ქუჩებში, ზოგავენ ელექტრო-ენერგიას და წყალს. ფხიზლად არიან ფორპოსტელთა საგუშაგოები, ანათებენ პიონერული ფარნები, — სისხლსავსე პიონერული ცხოვრებით ცხოვრობენ ახალციხელი ბავშვები. — ამ უზარმაზარ შენობაში ცხოვრობენ, სწავლობენ და ხალისობენ ახალციხის პირველი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები. ინტერნატს აქვს ვრცელი საკლასო ოთახები და განიერი დერეფნები, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი და მოედნები, კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები.

ზოთა არველაძე

„— ახალციხის სკოლა-ინტერნატს სულ 4 წლის ისტორია აქვს. პირველად სკოლის ზარი აქ დაირეკა 1959 წლის 2 სექტემბერს. ამ დღეს მერხებს მიუჯდა 150 მოსწავლე, მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, სკოლა უფრო გაიზარდა. ამჟამად სკოლა-ინტერნატში 330 მოსწავლე სწავლობს; წელს ცუდად როდი დაამთავრეს მეორე მეოთხედი. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ოთხიანებსა და ხუთიანებს ღებულობს, მოწინავენი არც ჩამორჩენილებს ივიწყებენ და მათაც ეხმარებიან სწავლაში. აბა, ვინ არ იცნობს ჩვენს სკოლაში მე-8 კლასელ ეთერ ძელიაურს და მზია ხუციშვილს. ისინი მართლაც და სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან. ისინი არა მარტო თვითონ სწავლობენ კარგად, არამედ მეგობრებსაც ეხმარებიან.

სკოლას აქვს კარგად მოწყობილი

სახელსნოები, სადაც მოსწავლეები საწარმოო სწავლებას გადიან, — ეუფლებიან მეავეჯისა და მკერავის პროფესიას. სასკოლო ნაკვეთზე მეკითხებით? იგი გადაშლილია 2 ჰექტარ ფართობზე; გაზაფხულიდანვე შეუდგნენ ნორჩები შრომას, — კარგად დაბარეს, დათოხნეს, შემდეგ კი დარგეს კომბოსტო, პამიდვრის ჩითილი; დათესეს კიტრი, სიმინდი და ბოსტნეული; წელს სეტყვამ მოსავლის დიდი ნაწილი გაგვიფუჭა, მაგრამ ბავშვების შრომას უქმად მაინც არ ჩაუვლია, — ჩვენს სასადილოში ნორჩი მზარეულები კერძს თავიანთ ნაკვეთზე მოწეული კარტოფილითა და კომბოსტოთი ამზადებენ".

მშვენივრად მოუწყვიათ ლენინის კუთხე მე-6 რაზმის პიონერებს. პიონერთა ოთახის კედლებზე ჩვენი გმირი კომკავშირელებისა და პიონერების პორტრეტებია გაკრული, იქვე შეგიძლიათ გაეცნოთ მათ გმირულ ცხოვრებას; პიონერული ცხოვრების ეს მატიანე ბავშვებმა შეადგინეს.

სათუთად უვლიან ახალციხელი პიონერები ასპინძელ პიონერთა საჩუქარს,— მათი ეზო-გარემოს მშვენივრად შესრულებულ მაკეტს. აქ აუზიცაა, პატარა მწვანე ხეებიც, პაწაწინა ქვის გალავანიც, რკინის რიკულებიც...

კიდევ ერთი საინტერესო კუთხეა პიონერთა ოთახში. ამ კუთხიდან მთვარე შემოგცინებთ... მთვარისაკენ მეოთხე რაზმის პიონერები მიჰქრიან, — ამჯერად ისინი დაწინაურდნენ; ეს გოგონა მე-6 კლასელი ვალენტინა მურვანიძეა.

ვალენტინა მურვანიძე:

„— აი, ხომ ხედავთ, ამ კედელზე გაკრულია დიდი ნახატი-სურათი. ეს მთვარეა, ეს ღრუბლები, ეს კი დედამიწაა. დედამიწიდან მთვარისაკენ მიფრინავენ: რაკეტა, თვითმფრინავი, შვეულმფრენი. ირემი, ძაღლი, სახედარი, ზღარბი და კუ. რომელი რაზმიც მთელი კვირის განმავლობაში არც ერთ ორიანს არ მიიღებს, იგი რაკეტაზე აღმოჩნდება, მეორე ადგილზე ვინც გამოვა, იგი თვითმფრინავზე ჯდება, შემდეგ შვეულმფრენზე, ირემზე და ასე შემდეგ. აი, ხომ ხედავთ, ახლა რაკეტაზე მეოთხე რაზმია — ჩვენი რაზმი, თვითმფრინავზე — მეხუთე რაზმი, შვეულმფრენზე — მესამე, ირემზე — მეორე, კუზე კი მეექვსე რაზმია. ეს იმიტომ, რომ ყველაზე მეტი ორიანი ამ კვირაში მეექვსე რაზმელებმა მიიღეს. პირველი მეოთხედის ბოლოს ჩვენ ჯერ ირემზე ვიჯექით, შემდეგ შვეულმფრენზე, მაგრამ ახლა, ხომ ხედავთ — რაკეტაზე ვართ, — მთვარეზე პირველები ჩვენ მივალთ. როგორ მივაღწიეთ ამას? სულ უბრალოდ: ჩვენი კლასი უფრო მეგობრული გახდა, ერთმანეთს ვეხმარებით. ეთერ ინასარიძეს, ნუგზარ კაზაროვს, ანზორ თელიევს მეორე მეოთხედში ორიანები გამოჰყვათ. მაშინვე მოვითათბირეთ მარიამ ხუციშვილმა, ვასილ ინასარიძემ და მე, რომ დავხმარებოდით ჩვენს თანაკლასელებს. და აი, ჩვენი რაზმი დღეს რაკეტაზეა. არავის დავუთმობთ ამ ადგილს".

ეს პატარა ოქტომბრელები პიონერთა ოთახის ხშირი სტუმრები არიან. ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელია ლარისა პანიატოვსკაია.

ლარისა პანიატოვსკაია:

„— მე ძალიან მიყვარს ჩემი პატარა მეგობრები, ჩემი ცუგრუმელები, მეორეკლასელები: ციალა ხუციშვილი, გელა რამიშვილი, გიორგი გელაშვილი, მედიკო სულაძე... კლასში რომ შევდივარ, სიხარულით შემომეხვევიან ხოლმე, რას არ მეკითხებიან, რა არ აინტერესებთ; ისეთი ცნობისმოყვარენი არიან!.. მე ხშირად სახლში დამატებით ლიტერატურას ვკითხულობ ხოლმე, რომ მათ კითხვებზე ვუპასუხო და არ შევირცხვინო თავი. აი, მაგალითად, მათ აინტერესებთ, — არიან თუ არა ადამიანები მთვარეზე, რატომ არის, რომ ოკეანეები და ზღვები არ იღვრება, როცა დედამიწა ტრიალებს, და ათასი სხვა რამ...

ჩემს ცუგრუმელებს მე წიგნებსაც ვუკითხავ, ლექსებსაც ვასწავლი, ვისაც უჭირს — დამატებით ვამეცადინებ. მე მინდა, რომ ჩემი პატარა მეგობრები კარგად სწავლობდნენ და ბევრი, ძალიან ბევრი რამ იცოდნენ".



აქ, ამ ნათელ, ქათქათა ოთახებში ერთნაირად ლამაზად გაწყობილ, სუფთა და კოპწია ცისფერ საწოლებში სძინავთ პატარებს; ამ ოთახის ფანჯრები ბაღს გადაჰყურებს, ბაღში კი თავს იწონებენ კეკლუცი ნაძვები, აშოლტილი ალვები, ქლიავისა და ვაშლის ხეები. —„ ასე ლამაზები და ტანაყრილი იმიტომ ვართ, რომ პატარებმა დაგვრგეს და გაგვახარესო", — ჩურჩულებენ ისინი. ალბათ, ამასვე ამბობენ ყვავილები ფანჯრის რაფაზე, საუცხოოდ მოვლილი კარადები და თაროები...

ბიჭებს პირველ სართულზე სძინავთ,

ეროვნული

გოგონებს კი — მეორე სართულზე. ვინ უფრო კარგად უვლის საძინებელ ოთახს — ამისი თქმა ძნელია. ბიჭების ოთახშიც ისეთივე სისუფთავეა, როგორც გოგონებთან. ეს არცაა გასაკვირი, ბიჭუნებიც ხომ თვითონ ასწორებენ ლოგინს, ჰგვიან და აპრიალებენ იატაკს, თვითონვე ირეცხავენ და იუთოვებენ ტანსაცმელს, თავიანთი ხელით იკერებენ აწყვეტილ ღილს. მაგრამ, საერთოდ, როცა დიასახლისობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, გოგონები უფრო სიყვარულით ლაპარაკობენ ამაზე.

აი, თუნდაც ეს მორიგე გოგონა:

ინეზა ბერიძე

„ჩვენს ოთახში ყველაზე მეტ ბავშვს სძინავს, ოთახიც ყველაზე უფრო დიდი გვაქვს და მორიგეებსაც მუდამ ყველაზე ბევრი საქმე აქვთ ხოლმე. დღეს მე ვარ მორიგე, მაგრამ მარტო მე რას გავხდები, ყველანი რომ არ მეხმარებოდნენ. ყველაზე ადრე მორიგე დგება. ამ დილით რომ გამეღვიძა, ბავშვებს ისევ ეძინათ. ჩუმად ავდექი და ფეხაკრეფით მივედი ფანჯარასთან, ფანჯრები გავაღე, ჰაერი გავასუფთავე, სანამ ბავშვები გაიღვიძებდნენ, მაგიდა მივალაგე, ახალი სუფრა გადავაფარე. მერე ბავშვებიც ადგნენ, თავთავიანთი საწოლები გაასწორეს და ხელების დასაბანად გავიდნენ; მე ოთახი გამოვგავე, სათითაოდ დავიარე ყველა საწოლი, შევამოწმე — რომელიმეს ზერელედ ხომ არ გაესწორებინა თავისი ლოგინი.

ჩემი მორიგეობით ჩვენი აღმზრდელი მასწავლებელი დეიდა მარო კმაყოფილია.

კმაყოფილია დეიდა გუგულიც, დეიდა ნინოც, — ყველა, ვინც თავის აღსაზდელებზე ზრუნავს.

მარო ჩხეიძე

„— კმაყოფილი როგორ არ ვიქნები, როცა ასეთი ყოჩაღი ბავშვების მზრუნველობა მომანდეს.

დილიდან საღამომდე მათთან ვარ და ვერც კი გეტყვით, ვინ უფრო ყოჩაღია, — ზოია ხუციშვილი თუ ნაირა ზაზაძე, ცისანა ნათენაძე თუ ქეთევან მაისურაძე.

იმასაც ვერ გეტყვით, ვინ უფრო კარგად უვლის თავიანთ საძინებელ ოთახებს, — გოგონები თუ ბიჭები“.

ახალციხის 1-ლ სკოლა-ინტერნატს მშვენივრად მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები აქვს. საინტერესოდ მოწყობენ საგნობრივი წრეები, მაგრამ იმდენი მასალა, რამდენიც აქაურ ნორჩ მხართმცოდნეებს აქვთ, არა გვგონია სხვა რაიონის ბავშვებსა ჰქონდეთ. პატარებსაც ეამაყებათ, რომ მათი მხარე ასე აყვავებულია დღეს, რომ ასეთი დიდი წარსული აქვს მესხეთის მიწას. აბა, გადავშალოთ ნორჩ მხარეთმცოდნეთა ალბომი. აქ წერია, რომ სოფელ წყისში, უდის მახლობლად, ნაპოვნია VI-VII საუკუნის მეტად საყურადღებო წარწერა; რომ X საუკუნის პირველ მეოთხედში ზარზმის მონასტერში დაიწერა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, — ეს ფასდაუდებელი თხზულება საქართველოს ისტორიისათვის; რომ წარმოშობით სამცხიდან არიან გიორგი მთაწმინდელი და სარგის თმოგველი; რომ გადმოცემით, რუსთავში დაიბადა შოთა რუსთაველი.

ეთერ უძილაური

„— ჩვენს მხარეს დიდი ისტორიული წარსული აქვს; მარტო იმის თქმაც კი კმარა, რომ მესხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ბრწყინვალე ისტორიული ძეგლები: ვარძია, ზარზმა, კუმურდო, საფარა და ვანის-ქვაბები, რომელთა სიდიადე ატყვევებს მნახველს. მესხეთის სიამაყეა: ხერთვისის, თმოგვის, აწყურისა და ოქროს ციხეები. ჩვენი წრის წევრები, ამათუ იმ თემის დამუშავების დროს, ხშირად ვაწყობთ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს მშობლიური მხარის შესასწავლად. ამას წინათ ჩვენი წრის წევრებმა გულნარა კაპანაძემ და ციალა ხარაიშვილმა წრის სხდომაზე წაგვიკითხეს მოხსენება „ახალციხე დღეს და ხვალ“. ამ თემის მომზა-

დებისას ისინი გაეცნენ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, დაათვალიერეს შახტები, იყვნენ სოფ. ვალეს კოლეურნეობაში, ნახეს სოფ. შურდოში აქატის წარმოება, იყვნენ ქისათიბში დიატომიტის წარმოების სანახავად.

ისტორიული თემების დამზადების დროს კი ისტორიულ ძეგლებს ვეწვევით ხოლმე, ვკითხულობთ ლიტერატურას ამ ძეგლების შესახებ და ისტორიის მასწავლებლის მიხეილ ყარაგეზაშვილის დახმარებით ვწერთ ამა თუ იმ თემას''.

ახალციხეში კიდევ ერთი ქართული სკოლაა. მდინარე ფოცხვის პირას დგას სამსართულიანი თეთრი შენობა. ვაზი აჰყოლია ხეებს, ვაზი გადასულა ღობეზე, ვაზი შემოვლებია ჭიგოს. სკოლის საცდელ ნაკვეთზე ვალმოხდილი ხეები დგანან, მიწაც ვალმოხდილია: ბეჯითი შრომის სანაცვლოდ ამ შემოდგომაზე სიმინდის, ლობიოსა და კარტოფილის უხვი მოსავალი მისცა. ამ სკოლის ნორჩმა ნატურალისტებმა კარტოფილი სოფელ აბის კოლმეურნეობის მინდვრებზეც აიღეს, სოფელ კლდისა და სვირის კოლეურნეებს დაეხმარნენ სიმინდის რჩევასა და დაბინავებაში. ნორჩ ნატურალისტებთან მშვენივრად გრძნობენ თავს კურდღლები, მტრედები, მწყერები...

სკოლის მესამე სართულზე, ყველაზე დიდ და ნათელ ოთახში, ქიმიის კაბინეტია. სადემონსტრაციო მაგიდაზე ბავშვები თვითონ ატარებენ ცდებს, — კარადები სავსეა სინჯარებითა და კოლბებით, ხელსაწყოებითა და ქიმიური ნივთიერებებით. კედელზე გამოჩენილ ქიმიკოსთა პორტრეტები და მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემაა.

ყველაზე გვიან ბავშვები ქიმიის ლაბორატორიიდან გამოდიან. ჩვენც ნაშუადღევს ვეწვიეთ ნორჩ ქიმიკოსებს.

თინა ნათენაძე:

,,—წრის მეცადინეობებს ვაწყობთ თვეში ერთხელ. წრეზე ვამუშავებთ თემებს და ვატარებთ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, რაც გვეხმარება ცოდნის გაღრმავებაში. ვატარებთ წრის გაფართოებულ სხდომებს. მაგალითად, ამას წინათ ჩავატარეთ წრის სხდომა, თემებზე: ,,ქიმია სარწმუნოებასთან ბრძოლაში'', ,,რა სასწაულის მოხდენა შეუძლია ქიმიას''. წრეზე დავამუშავეთ საინტერესო საკითხები: ,,ქიმია სახალხო მეურნეობის სამსახურში'', ,,რა არის ნავთობი და რას გვაძლევს ის'', ,,ნახშირწყლები და მისი გამოყენება''. ვატარებთ საინტერესო პრაქტიკულ სამუშაოებს ნივთიერების გამოცნობაზე, ერთი ნივთიერების სხვადასხვა გზით მიღებაზე. ვუშვებთ სპეციალურ გაზეთს ,,ნორჩი ქიმიკოსი''. ვამზადებთ თვითნაკეთ ხელსაწყოებს, ვაწყობთ ექსკურსიებს წყლის გასასუფთავებელ სადგურში, სახამებლის ქარხანაში, ღვინის ქარხანაში, კერამიკულ ქარხანაში. ყოველ წელს ვაწყობთ ექსკურსიას რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.





ამჟამად წრის წევრები ნუგზარ ცხვარიაშვილი, ავთანდილ ისაკაძე, ინეზა ნებიერიძე, ია ღონღაძე, ლია სოხაძე, ნათელა ყულიჯანიშვილი, და მე ვამზადებთ საუბარს თემებზე: „ქიმია სოფლის მეურნეობის სამსახურში", „ქიმიური პრეპარატების გამოყენება მოსავლიანობის გადიდების საქმეში". ამ საკითხებზე ვიმსჯელებთ წრის მორიგ სხდომაზე".

არც ნორჩი ფიზიკოსები სტოვებენ თავიანთ კაბინეტს გვიანობამდე. გაკვეთილების შემდეგ ისინი ფიზიკის კაბინეტში იკრიბებიან და სწორედ მაშინ იწყება საინტერესო მუშაობა.

მურმან ყურაზაშვილი.

„ჩვენთან ძალიან ბევრს აინტერესებს ფიზიკა. ფიზიკის გაკვეთილებს ფიზიკის ლაბორატორიაში ვატარებთ. ხოლო ფიზიკის მოყვარულები გაერთიანებული ვართ ფიზიკის წრეში. წრის სხდომებზე ვამზადებთ საინტერესო საკითხებს: „რადიო ადამიანის სამსახურში", „ციოლკოვსკი, — რეაქტიული ძრავის ფუძემდებელი", „ადამიანი კოსმოსში" და სხვა. ამჟამად მზეშაობთ თემაზე — „სამყაროს ბუგბულება". ნორჩი ფიზიკოსები ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს: ამას წინათ ვიყავით ჩითამბეგის ჰიდროელექტროსადგურში, ხოლო მორჯომის შუშის ქარხანაში გავეცანით წარმოებაში ავტომატიკის გამოყენებას, დავათვალიერეთ ავრეთვე ვალეს მახტები. ექსკურსიის დროს ვინიშნავთ მონაცემებს და ვადგენთ დიაგრამებს, რასაც შემდეგ ვიყენებთ ფიზიკის გაკვეთილებზე..."

ასე ცხოვრობენ, სწავლობენ და შრომობენ განსლეგული მსესეთის პიონერები.

ტაკიკიოზი

ვასტანგ ნიკოლაიშვილი

ამას წინათ, უნიკალური ფოტოსურათების კოლექციონერ ზალვა ფურცხვანინაძის ლაბორატორიაში, ალბომების თვალიერების დროს, შეხვედვეთ წყვაწყდი დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე ფოტოს. ერთ სურათში მგზავნები გადღეგულია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში პიონერების შორის. ჩანს, ბავშვებმა შეხვედრა მოუწყვეს გალაკტიონს, მისთვის ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიურთმევიათ და სამახსოვრო სურათიც გადაუღიათ. მეორე სურათი გადაღებულია ორკონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. აქაც გალაკტიონი პიონერებს შორისაა. მესამე სურათში პოეტი რემინტერორთან ზის, მაოცებენ ხელში ახლად გამოცემული საკუთარი ლექსების კრებული უმიზეზ და ჩაფიქრებული თვალებით სადღაც. შორს იყურება. სურათი დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ არის გადაღებული.

დიდხანს ვაკვირდებოდი ამ დიდი ქართველი ადამიანის სახეს და ვამახსენდებ ჩემი ბავშვობის წლები. პერიოდი, როცა პოეტი ჩვენს ოჯახში ხშირად დადიოდა. პორტრეტი სწორედ იმ წლებშია გადაღებული.

გალაკტიონს სტუმრობა განსაკუთრებით ბავშვებს გვიბარობდა. მისმა თავმდაბლობამ და ჩვენდამი გულთბილმა მოპყრობამ ისე გაგვითამამა, რომ მოვიდოდა თუ არა, შევეხეოდით ხოლმე და წასვლამდე აღარ გშორდებოდით.

ერთხელ, გალაკტიონმა საბავშვო ჟურნალებს: „წითელი სხივისა" და „ნაკადულის" მოელი დასტა მოგვიტანა. ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილი იყო გალაკტიონის ლექსი; იგი ჩემმა ძმამ, ბორისმა ზეპირად ისწავლა და პოეტს გამოთქმით წაუკითხა. გალაკტიონს გაებარა, ბორისს ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა. ამ დღიდან გალაკტიონსა და ბორისს შორის განსაკუთრებული მეგობრობა დამკიდრდა. მეოთხანმა პატარა მეგობარს რამდენიმე ლექსი, უძღვნა.

ჟურნალ „პიონერის" წინამორბედი „წითელი სხივი" (1925 წ.).

გალაკტიონი ბაანი. გალაკტიონი ჩვენთან აღარ მოსულა. მართალია, თბილისის ქუჩებში ხშირად ვხვდებოდი დინჯად მიმავალ, ტკბილ წვერდაფენილ პოეტს, მაგრამ იგი ვერაფერ მცნობდა, რატომღაც მეც მერიდებოდა გამოცხადებისა. ერთხელ მე და მწერალი როდან ჩაჩნიძე სტუმრად მივდიოდით გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორთან, ეიანო ცირკაციძესთან. მარჯანიშვილის მოედანზე, ტროლეიბუსის გაჩერებასთან გალაკტიონი დავინახეთ. გაუბედავად მივუახლოდით და მოკრძალებით მივესალმეთ. პოეტმა ხელი გამოგვიწოდა, ეინაობა გვკითხა. მე ვუთხარი, ვინც ვიყავი. გაახსენდა. სახარულით ერთხელ კიდევ ჩამომართვა ხელი.

— რომ არ გეთქვა. ვერ გიცნობდი; როგორ არიან თქვენები,—დედ-მამა, გიორგი, ბორისი, ეთერი?—მოიკითხა მთელი ჩვენი ოჯახი. კმაყოფილებით მოიგონა ის წლები, როცა ჩვენთან დადიოდა... ბერე ხელჯოხი მკლავზე ჩამოიკიდა, მარჯვენა ხელი მხარზე დამადო და გვკითხა:

— ახლა საით მიდიხართ, ბაბუკებო?

— სტუმრად, და თუ თქვენც წამამრძანდებით,— მოხარულნი ვიქნებით,—მიუგეთ ჩვენ.

— სტუმარი სტუმარს ეპატიჟებოდა, მასპინძელს კი ორივე სძულდაო!—ხომ გაგიგონიაო? — იხუმრა გალაკტიონმა და,—მაგრამ მაინც წამოვალო,—დასძინა ბოლოს.

ვინოს გალაკტიონის დანახვა ძალიან გაეხარდა. მიგვიპატიჟა სუფრასთან. ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, ქართულ პოეზიაზე, გალაკტიონის ლექსებზე.

გამახსენდა ჩემი ძმისადმი მიძღვნილი გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსი და ზეპირად წაუკითხე.

— თუ მაგ ლექსის ხელნაწერი ისევ შენახული გაქვს, - მომი ტანე და მაჩვენე, —მთხოვა გალაკტიონმა.

მასპინძელს ვეგიან, ღამით გამოვემშვიდობეთ, გალაკტიონი სახლამდე მივაცილეთ...

იმ ღამისეული გადადგომები ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში, ძველი ქაღალდები, მაგრამ გალაკტიონის ავტოგრაფებს ვერსად მივაგენი. ვეძებდი მეორე დღესაც, — უშედეგოდ. პოეტთან კი ხელკარიელი ვერ მივედი...

გალაკტიონის უნიკალურმა ფოტოსურათებმაც ისევ აღმოძრა ლექსის ბოვნის სურვილი. ამჯერად გაყვითლებული ქაღალდების გარდა, გადავსინჯე მთელი ჩემი წიგნები და ძველი ჟურნალები. აი, 1925 წლის ჟურნალი „წითელი სხივი" № 3. ეს ხომ მისი მოტანილია! ჟურნალში დამაინტერესეს. „წითელი სხივის" ეს ნომერი თითქმის მთლიანად 1871 წლის პარიზის კომუნისადმი მიძღ.ნილი. ეს იყო პირველი რევოლუცია. მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნის პირველი ცდა მსოფლიოში. ჟურნალი გადავფურცლე და... აგერ, მოსწავლის რეფერატს გაყვითლებულ ცალსახიან ფურცელზე გალაკტიონის ხელით დაწერილი ის ლექსი.

დიდი პოეტის ეს ლექსი და პორტრეტი არსად არ გამოქვეყნებულა.



ანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, 1910 წლის 8 მარტს, სოციალისტი ქალების მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის — კლარა ცეტკინის წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება, — საერთაშორისო კონფერენციის შეკრების ეს დღე (8 მარტი) ჩაითვალოს ქალებისა და მამაკაცების პოლიტიკური და ეკონომიური თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში საერთაშორისო სოლიდარობის დღედ და აღინიშნოს იგი ყოველწლიურად.

ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი, პირველად 1911 წელს აღინიშნა გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიასა და დანიაში. მეფის რუსეთში ქალთა საერთაშორისო დღე პირველად 1913 წელს აღინიშნა პეტერბურგში. — პეტერბურგში ეს დღე აღინიშნა ჟურნალ „რაბოტნიცას" პირველი ნომრის გამოსვლით.

იმავე წელს გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და დანიის პროგრესულმა ადამიანებმა იზეიმეს ქალთა საერთაშორისო დღე.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) ქალთა საერთაშორისო დღე თითქმის არ აღნიშნულა.

1917 წლის 8 მარტს, პეტროგრადის ბოლშევიკების კომიტეტის მოწოდებით, ამ ქალაქში მოეწყო ქალთა დემონსტრაცია. ქუჩაში გამოსული ქალები გამოთქვამდნენ თავიანთ გულისწყრომას; მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას და თავიანთი ქმრებისა და ძმების შინ დაბრუნებას, წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ ცარიზმს. ქალთა დემონსტრაციას საერთო საგაფიცვო გამოსვლებით მხარი დაუჭირეს პეტროგრადის მუშებმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ქალთა ჩაგვრის სოციალური ფესვები, მიანიჭა ქალებს ნიჭისა და უნარის განვითარების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, რითაც მთელ მსოფლიოს უჩვენა ქალთა საკითხის გადაჭრის ნიმუში. საბჭოთა ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდა, იგი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო მართვაში, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მუშა-მოსამსახურეთა 48 პროცენტს ქალები შეადგენენ, სოფლის მშრომელთა ნახევარზე მეტი ქალები არიან. სახალხო მეურნეობაში ჩაბმულია დაახლოებით ექვსი მილიონი ქალი. ექიმთა 74 პროცენტი და მასწავლებელთა 70 პროცენტი ქალები არიან. საბჭოთა კავშირში 31 ათასზე მეტი ქალი პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ოცნებობდა იმაზე, რომ ქალს მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეთა მართვაში. ახლა საბჭოთა ქალს ვხედავთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოში — სასოფლო საბჭოდან დაწყებული სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე. საკმარისია ითქვას, რომ 390 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, — გაცილებით მეტი, ვიდრე ყველა კაპიტალისტური ქვეყნის პარლამენტებში ერთად. მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 76 ქალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 2.879 ქალი სოციალისტური შრომის გმირი გახდა, ამათგან 24 ქალი ორგზისაა დაჯილდოებული ოქროს მედლით „ნამგალი და ურო".

მეორე მსოფლიო ომის წინ, საერთაშორისო ქალთა, დღე, 8 მარტი, კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ტარდებოდა ქალთა თანასწორუფლებიანობის დაცვის ნიშნით და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით.

საბჭოთა კავშირში ეს დღე აღინიშნებოდა ქალის სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მოწოდების ლოზუნგით — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

დიდი სამამულო ომის წლებში, საბჭოთა ქალები საერთაშორისო ქალთა დღეს, 8 მარტს, ერთმანეთს მოუწოდებდნენ დარაზმულიყვნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების კიდევ უფრო გასაძლიერებლად და ქვეყნის ყველა რეზერვის მობილიზებისათვის — ფრონტის დასახმარებლად.

კაპიტალისტური და დამოკიდებული ქვეყნების პროგრესული ქალები, 8 მარტს, მოითხოვდნენ რა თანასწორუფლებიანობას, თანაგრძნობას უცხადებდნენ მებრძოლ საბჭოთა ხალხს და გამოდიოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალები, რომლებიც განთავისუფლდნენ სოციალური ჩაგვრისაგან და მიიღეს თანასწორუფლებიანობა, შემოქმედებითს მონაწილეობას ღებულობენ თავიანთი ქვეყნების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, ისინი საერთაშორისო ქალთა დღეს, 8 მარტს, აღნიშნავენ ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ქალები, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, სოლიდარობას უცხადებენ თავიანთ საზღვარგარეთელ დებს, რომლებიც იბრძვიან ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, აშენებენ ახალ ცხოვრებას და მიდიან სოციალიზმის გზით.

ახლა, როცა იმპერიალისტები ახალი ომის გაჩაღებით იმუქრებიან, მსოფლიოს პროგრესული ქალები კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმებიან და ხმას იმაღლებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის, თავისუფლების, თანასწორობის. ძმობისა და ბედნიერების დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედმუნდ ნიზიურსკი

ნახატები ბ. ბალ‍ბასი

მარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი

თავგადასავალი

ჭაღი საეჭვოდ შეინძრა და საშინელი ხმაურითა და ჭახანით ჩამოვარდა იატაკზე. ჰაერში მსუქანი მეთევზის ფეხებმა გაინავარდეს და სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა.

მისახმარებლად წავიწიე, მაგიდას წამოვედე, გადავბრუნე, მელანი გადავასხი რვეულებსა და წიგნებს.

მსუქანი მეთევზე უმოძრაოდ ეგდო.

მძიმე ჭაღის ნამსხვრევებთან მივირბინე და შეშინებულმა მეთევზეს სახელოზე ჩამოვქაჩე. მან თვალები გაახილა და წაილუღლუღა:

— ნუ მოცდები, ჩემო ბიჭუნი.

არ ვიცოდი, რა მექნა. საბედნიეროდ ზარი აწკარუნდა. ოთახში შემოვიდნენ საკაცით შეიარაღებული სანიტრები.

— სადაა ავადმყოფი? თქვენგან დარეკეს „სასწრაფო დახმარებაში“? — მკითხა პირველმა სანიტარმა.

— დიახ, ეს პანი ჭაღმა გაჭყლიტა.

— ჩვენ გვითხრეს, რომ თქვენთან ვიღაც პარტახტიანი ტიფით არის ავად, — შენიშნა მეორემ.

— არა, აქ მხოლოდ ეს ავადმყოფია, — ვუთხარი მე, — გეთაყვათ, წაიყვანეთ.

— არა, აქ ვიღაც უნდა იყოს ტიფით ავად, — გაჯიუტდა მეორე სანიტარი.

პირველმა ხელი ჩაიქნია მხოლოდ.

მეთევზე დადეს საკაცეზე და გაიყვანეს.

ჭაღზე ჩამოვჯექი და სახე მოვიწმინდე. არაფრის თავი აღარ მქონდა. უეცრად საათმა ჩამოკრა — რვაჯერ. შევეშინდა. წამოვვარდი და ფანჯარაში გადავხტი. ახლა თქვენ ყველაფერი იცით...

— ალბათ, ხუმრობ, მარეკ, — ვუთხარი მე, — ნუთუ ყოველივე ეს სინამდვილეში მოხდა.

—აი, ხომ ხედავთ, გაოცებული ხართ. თქვენ ხომ შემპირდით, — არაფერს არ გავიოცებო!

— რაც მართალია — მართალია! — მძიმედ ამოვიხვნეშე მე.

თავგადასავალი მეოთხე ანუ

საშინელი და არაჩვეულებრივი ფათერაკი,

რომელიც შეემთხვა

მარეკ პეგუსს

სკოლაში

იმ დღეს მარეკ პეგუსს სკოლასთან შევხვდი. იგი მესერთან იდგა და ჯიბის სარკეში იჭყიტებოდა.

— რა, საკუთარი თავის ცქერით ტკბები? — შევეკითხე მე.

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფრითაც არ ვტკბები, ისე ვიხედები, ჭაღარა ხომ არ გამომერია-მეთქი, — მიპასუხა მან, ისე რომ თავი არც კი აუღია.

— რას სულელობ, — გავიცინე მე, — განა შენს ასაკში ვინმე ჭაღარავდება?

— მამა ამბობს, რომ მწუხარებისაგან შეიძლება გაჭაღარავება. ამიტომ ვიხედები სარკეში, ხომ არ გავჭაღარავდი-მეთქი. თქვენ ხომ იცით, რა უკულმართი ბედი მაქვს. დღევანდელი დღე კი ყველაზე მძიმე იყო მთელს ჩემს სიცოცხლეში. დილიდანვე დაიწყო უსიამოვნებანი: მორიგეობა, ჩვენი კლასის ხელმძღვანელის დღეობა. ასაკგადასულები, და ყოველივე ამასთან — ჩემი დაწყევლილი ბედი.

— რომელ ასაკგადასულებზე ლაპარაკობ?

— ჩვენი მეორეწლიანი მოსწავლეები ახლა მეცხრეში უნდა იყვნენ, მეათეშიც კი, მაგრამ ჩვენთან სწავლობენ— მეექვსე კლასში. ისინი ღონიერები არიან, მაგრამ — ტუტუცები, ყველაფერზე გაბოროტებით იღრინებიან. ახლა ხომ გაიგეთ?

— გავიგე, მაგრამ ყველაფერს თავიდან თუ მომიყვები, ისა სჯობია.

— დილით მხიარულ გუნებაზე ვიყავი. დილ-დილობით ყოველთვის მხიარული ვარ, ანუ, როგორც პან ფანფარა ამბობს, — ოპტიმისტურად განწყობილი. ფეხსაცმლის ტომსიკის ქნევით შევვარდი კლასში და მაშინვე შევნიშნე, რომ ზიუზია, ლიულია და გეესეკი რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. მე მივედი მათთან:

— რა, საიდუმლო გაქვთ?

— მარეკ, დიდი უსიამოვნება შეგვემთხვა, — თქვა ზიუზიამ.

— რაშია საქმე? — მხნედ ვიკითხე.

— სულ დაგვავიწყდა, რომ დღეს პანი ოკულუსოვას დღეობაა.

— არც საჩუქარი გვაქვს, არც ყვავილები, ფერადი ქაღალდებიც კი არ გაგვაჩნია, რომ კლასი მოვრთოთ, — დაუმატა გეესეკმა.

— დაგვავიწყდა, ყველას დაგვავიწყდა, — ამოიოხრა ზიუზიამ.

— ყველას არ დაგვიწყნია, — აი, მაგალითად, მე მახსოვდა!

— მართლა? — წამოიყვირა ზიუზიამ.

— მე საჩუქარიც კი მაქვს.

— სტყუი!

— აბა, გვიჩვენე.

— სად?

ისინი გარს შემომერტყნენ.

— აი, აქ, — მივუთითე ტომსიკაზე.

— ტომსიკაში?

— დიახ, ტომსიკაში, აი, ნახეთ. — ტომსიკას პირი მოვხსენი და პატარა ლეკვი ამოვათრიე.

მთელი კლასი გამხიარულდა.

— უი, რა სასაცილოა!

— საოცრებაა!

— მიჩვენე, რა!

— რა ჰქვია?

— ტიაპუსი, — ამაყად ვუპასუხე მე.

— ტიაპუს, ტიაპუს!

— გადასარევი ძაღლია!

— რა ჯიშისაა?

— ბულდოგია, — ვთქვი მე, — მხოლოდ ცალი ყური რისაა, საწოვრიანი ბოთლით ვაჭმევ.

— მომე რა, დავიჭირო.

— მეც დამაჭერინე!

— მეც!

ბავშვები ერთმანეთს სტაცებდნენ ხელიდან ლეკვს. ტიაპუსმა ამით ისარგებლა, გაუსხლტა მათ და კლასში დაიწყო სირბილი. ბავშვები დაედევნენ. ბოლოს, გეესეკმა დაიჭირა.

— აქ მომეცი, — ვუთხარი მე, — უნდა დავმალო, თორემ — ერთიც ვნახოთ — გაგვექცეს, მერე? ამ რაიმე რომ გააფუჭოს!.. იცი, რა საშინელი ეშმაკია?!

ლეკვი ტომსიკაში ჩავსვი.

— სული შეეგუბება, — შეწუხდა ლიულია.

— ნუ ღელავ: ტომსიკა გახვრეტილია.

ჩემი ადგილი დავიკავე და ტომსიკა მერხში შევტენე.

კლასში ჩესეკმა შემოირბინა. მორიგის წითელი სამკლავე ეკეთა, ხელში ფერადი ქაღალდების ორი დიდი ხვეულა ეჭირა.

— ქაღალდი! ქაღალდი! — ახმაურდნენ ბავშვები. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. საჩუქარი ვიშოვეთ, კლასის მოსართავი ქაღალდიც გვქონდა, მაგრამ ბოროტი ბედისწერა, რომელიც სულ თან დამდევს, უკვე იწყებდა მოქმედებას.

— სადაა მარეკი? — იკითხა ჩესეკმა.

მე მივუახლოვდი.

— მარეკ, დღეს შენი მორიგეობა იწყება, — მითხრა მან, — ისედაც ზედმეტი დღე ვიმორიგევე. აჰა — სამკლავე გაიკეთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათგრძნობით რაღაც ცუდი ვიგრძენი და უხალისოდ გავიკეთე სამკლავე. ბოროტი ბედისწერა ფეხდაფეხ მომდევდა. აბა, მაშ რით უნდა ავხსნა, რომ ჩემი მორიგეობის დაწყება მაინც და მაინც კლასის ხელმძღვანელის დღეობას დაემთხვა.

ჩესეკმა მხარზე ხელი დამკრა:

— კარგი ერთი, გეთაყვა, რას ჩამოუშვი ცხვირი. სულ რაღაც ერთი კვირა უნდა იმორიგეო, მეტი ხომ არა!

— კეთილი, მაგრამ, დღეობა რომ არის...

— არაფერია, — ჩაიქნია ხელი ჩესეკმა, — ლეკვი ხომ მოიყვანე.

— **მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ე.**

— სად არი?

— ტომსიკაში ჩავსვი და მერხში დავმალე.

— ყველაფერი რიგზეა, ოღონდ თვალყური ადევნე — არსად გაგექცეს, ხომ იცი, რა უკუღმართი ბედი გაქვს, ყველაფერი შენ უნდა დაგემართოს.

— კარგი, თვალყურს ვადევნებ.

— რა ცხვირი ჩამოუშვი! ხომ ხედავ, საჩუქარი გვაქვს, კლასს ფერადი ქაღალდებით მოვრთავთ. ყველაფერი რიგზე იქნება, რაც მთავარია, შენს უკუღმართ ბედზე არ იფიქრო, დაიწყებ ფიქრს და — ყველაფერი დაგვეღუპება.

— კარგი, — ამოვიოხრე მე, — მაგრამ ხომ იცი, რა კლასი გვყავს. მე... ისედაც ყველაფერი ჩემს თავზე უნდა გადატყდეს. ასაკგადასულებს აღარ იტყვი! ხომ იცი, რეებს არ კისრულობენ.

— ნუ გეშინია, — დამამშვიდა ჩესეკმა, — პანი ოკულუსოვა ყველას უყვარს, ასაკგადაცილებულებსაც კი; პანი ყოჩაღია. აი, ნახავ, არაფერიც არ მოხდება, მთავარია, პითაგორას პირველი გაკვეთილი კარგად ჩავტაროთ, და კოლორადოსთანაც წესიერად მოვიქცეთ. ასაკგადაცილებულებს არაფერი უთხრა! აი, ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა. მართლა, კინაღამ დამავიწყდა, — ყურადღებით იყავი, პაპკევიჩი ცარცსა ჭამს. ახლა კი — ყველანი გარეკე კლასიდან! გირლიანდები უნდა გავაკეთოთ. აი, წებო და მაკრატელი. ქაღალდი ზოლ-ზოლად უნდა დავჭრათ — ორი თითის სიგანეზე, მერე უნდა დავაწებოთ და დავგრიხოთ. ისეთი გირლიანდები გამოვა — თავი მეჯლისზე გეგონება.

—რად გვინდა ეს... გირ... გირლიანდები?—ვკითხე მე ცხვირის სრუტუნით.

—გირლიანდები საჭიროა; მეშვიდეში ყოველთვის აქვთ გირლიანდები. ჩვენ იმათზე ნაკლები რითი ვართ?

— კეთილი, რახან ასეა — იყოს გირლიანდები, — ვუთხარი მე და კლასიდან ბავშვების გაყრა დავიწყე. ჩესეკი მეხმარებოდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— ახლა კი მუშაობა დავიწყოთ, — თქვა ჩესეკმა, — მე გავიქცევი და დარაჯს ჩაქუჩს და ლურსმნებს გამოვართმევ, ზიუზია და ლიულია მოგვეხმარებიან.

ჩესეკი კლასიდან გავარდა, მე ქაღალდის ჭრას შევუდექი.

ერთი ზოლის გამოჭრაც კი ვერ მოვასწარი, რომ კლასში ასაკგადასული ზდები შემოვიდა. ერთი ხელი ჯიბეში ედო, მეორეს კი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით ნიკაპზე ისვამდა.

— რას გამოგვეცხადე? — მკაცრად შევეკითხე.

— გეტყობა, დიდი ხანია არავის უცემიხარ, — აიფხორა ზდები. — მე რომ მელაპარაკები — „კოლეგა“ უნდა დააყოლო.

გადავწყვიტე — ხმა არ გამეცა.

— ბოდიშს ვიხდი, კოლეგა, დამავიწყდა.

კოლეგა ამ ბოლო დროს იშვიათად მობრძანდება კლასში.

— თბილა, — დაამთქნარა ზდებმა, — თქვენთან ყოველთვის მწყინდება, ლაწირაკებო; ჩემი ადგილი მეათე კლასშია, გასაგებია?

— გასაგებია, — თავაზიანად ვუპასუხე მე. — რა სამწუხაროა, კოლეგა, რომ თქვენ, მიუხედავად სერიოზული წლოვანებისა, იძულებული ხართ ჩვენს კლასში იაროთ.

— ყველაფერი პითაგორასი და დირეს ბრალია, — ასე ეძახდა ზდები დირექტორს, — ისინი სწორედ იმას მეკითხებიან, რაც არ მისწავლია. კარგია, კმარა... არა მაქვს ჩვეულება, — გულახდილი ვიყო ლაწირაკებთან. შენ ახალი მორიგე ხარ?

— დიახ, კოლეგა.

— **შ ე გ ი ძ ლ ი ა** გამპარსო?

— გაგპარსო? — კინაღამ თვალები გადმომცვივდა.

— დღეს ხომ პანი ოკულუსოვას დღეობაა, და ხომ გაპარსული უნდა ვიყო?

— მაშ, კოლეგას სურს, რომ მე იგი გავპარსო?

— მორიგეები ყოველთვის მპარსავენ, — მხრები აიჩეჩა ზდებმა. — ეს მათ მოვალეობაში შედის. შენ რა, არ იცოდი?

— არა! ჩესეკს არაფერი არ უთქვამს. იმანაც გაპარსა კოლეგა?

— რასაკვირველია, გაპარსა! — ხმას აუწია ზდებმა. — და არც ისე ცუდად. აბა, ჩქარა დაიწყე, დრო ცოტა გვაქვს.

ზდები მოხერხებულად გაიჭიმა კათედრასთან მდგარ სკამზე და გადაშალა ჟურნალი „პანორამა“.

— კეთილი... — ჩავილუღლუღე მე, — მაგრამ რითი უნდა გაგპარსოთ?

— მოწყობილობა კათედრის უჯრაშია. წყალი შეგიძლია დოქიდან იხმარო, თუ ახალია. აბა, დაიწყე, დრო აღარ არის.

უჯრიდან ამოვიღე სამართებელი, საპონი, პატარა თასი, პირსახოცი და უმწეოდ გავჩერდი ზდების წინ.

— რას გაშტერებულხარ, — მაქეზებდა ზდები, — პირსახოცი ამაფარე.

ავაფარე.

— ასე არა! არ დამახრჩო! — გაიბრძოლა ზდებმა.

პირსახოცი გავასწორე.

— წყალი!

პატარა თასი წყლით ავავსე.

— საპონი!

ავაქაფე.

— სამართებელი!

სამართებელს ვეცი და პარსვა დავიწყე.

— შეჩერდი!

შევჩერდი.

— რას მიფხაკუნებ, — დაიყვირა ზდებმა, — ვერა ხედავ, ბლაგვია! ახლავე გალესე!

— როგორ გავლესო?

— ქამარზე! შარვალში ხომ გაქვს ქამარი გაყრილი?

ქამარი გამოვიძრე და მაშინვე ვიგრძენი, რომ შარვალი მძვრებოდა. ავიჩაჩე, მაგრამ ისევ ჩამძვრა, მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზებულმა, შარვალი გავიხადე, ქამარი კარის სახელურს გამოვაბი, როგორც ამას მამაჩემი აკეთებს ხოლმე და ზედ სამართებელი გავუსვი და გამოვუსვი.

ზდები მოუთმენლად მიყურებდა „პანორამის“ ზემოდან.

— გეყოფა! გამპარსე! — მიბრძანა მან.

საჩქაროდ ჩავიცვი და პარსვა ნიკაპიდან დავიწყე. უეცრად, ზდები წამოხტა.

— ხომ არ გაგიჟდი!

— რა მოხდა?

— კანი გამიჭერი, შე ლაწირაკო. სახეზე ისევ გამომაყრის! ღმერთო ჩემო... რამდენი სისხლია! რაღას უდგეხარ? ჩქარა ბამბა! შემიხვიე! ვაი... ვიცლები სისხლისაგან! — ამოიოხრა მან.

კედლის აფთიაქთან მივირბინე, გამოვიღე იოდი და ბამბა.

— ახლავე შევუხვევ ჭრილობას კოლეგას, — ჩავილუღლუღე.

— სახეზე გამომაყრის, — ქვითინებდა ზდები.

ბამბა იოდში დავასველე და ჩემს კლიენტს ნიკაპზე მივაკარი. ზდებმა დაიღრიალა და სკამიდან წამოხტა.

—ვაიმე, ნიკაპი! რას მიშვები, შე ხულიგანო?

— იოდს... იოდს გისვამ.

— რა? იოდს?.. მაშ, აბა, მიყურე, გაგისწორდები... ვაიმე, ნიკაპი... ნიკაპი.

ღრიალით გაიჭრა კლასიდან.

სახელოთი შუბლი მოვიწმინდე და შვებით ამოვისუნთქე. მაგრამ შვება ხანმოკლე იყო.

კარი ხმაურით გაიღო და ბუბა შემოვარდა. (იგი ერთი ახმახი გოგო იყო, თავი კინოვარსკვლავად მოჰქონდა). ახლა კი შიშისაგან კინაღამ გული წამივიდა. შეძრწუნებული ვუყურებდი ბუბას; იგი ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა და ღიმილით ნიკაპზე მომითათუნა.

მე გავწითლდი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ.

— დღეს შენა ხარ მორიგე, მარეჩეკ? — ალერსიანად მკითხა მან.

შიშით უკან დავიწიე.

— დიახ, რამე ხომ არ გინდა?

— შენ თვითონ უნდა მიხვდე.

— წარმოდგენაც არა მაქვს, — კიდევ ერთი ნაბიჯით დავიწიე უკან.

ასაკგადასულმა ბუბამ, ხელები ერთმანეთს გადააჭდო და მომაკვდავი გედის პოზაში დადგა.

— მარეჩეკი ბუბოჩკას მანიკურებს გაუკეთებს, — ჩაიჭიკჭიკა მან.

გავშრი.

— მე — მანიკური? შენ რა, გაგიჟდი?

— ოო, მარეჩეკი ძალზე არათავაზიანად ეპყრობა პატარა ბუბოჩკას. მაგრამ ძალიან რომ სთხოვოს?

— ნუ სულელობ, — ბრაზმორეულმა ხელი ვკარი ბუბას, — შენც მოიგონე რა.

— მეტისმეტად ნუ გათამამდები, — წელში გასწორდა ნაწყენი ბუბა, — თორემ ისეთს მოგარტყამ!.. დღეს პანი ოკულუსოვას დღეობაა, და მე მინდა, რომ თვალწარმტაცი ვიყო.

— მაგრამ პანი ოკულუსოვა რომ არავის არ აძლევს ფრჩხილების წითელი ლაქით შეღებვის უფლებას! — შეკეცადე თავიდან ამეცდინა ეს არასასიამოვნო ამბავი.

— წითელი ლაქი — საზიზღრობაა, — მხრები აიჩეჩა ბუბამ. — ახლა მოდაში არ არის. მე მხოლოდ ფანდფილაქი მომწონს, თვალში არ გეცემა... საერთოდ კი, რა მენი საქმეა, რა ფერს წავისვამ, დაჯე და რასაც გეტყვი — ის გააკეთე.

— არ გავაკეთებ! — დავიყვირე, — დაიკარგე აქედან, ჩვენ კლასი უნდა მოვრთოთ. გესმის?

— რაო! — წარბი შეიკრა ბუბამ. — აი, შე ლაწირაკო! — ბუბამ ხელი მკრა.

უეცრად მძიმე ნაბიჯებით კლასში შემოვიდა პუმეკს მეორე, მოკრივის ხელთათმანებით. ქვეშ-ქვეშად გამოგვხედა და ბრძანა:

— ბაბუ, აბა, აქედან დაიკარგე, ჩქარა!

იგი ცხვირში ლაპარაკობდა, და როცა პუმეკსი ასე დაიწყებდა დუდღუნს — ეს ცუდი ნიშანი იყო.

— ვერა ხედავ, მანიკურს ვიკეთებ, — თავი იმართლა ღიმილით ბუბამ.

— აქედან დაიკარგე! — გაიმეორა პუმეკს მეორემ ცხვირში დუდღუნით ისე, რომ ბუბასთვის არც კი შეუხედავს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქმე უკვე ცუდად იყო.

ბუბამ ტუჩი მოიკვნიტა, თავისი მანიკურის მოწყობილობა მოხვეტა და ფეხათრევით გაემართა გასასვლელისაკენ. ზღურბლთან იგი მობრუნდა და პუმეკს მეორეს ენა გამოუყო. მაგრამ პუმეკს მეორეზე ამან არავითარი მთაბეჭდილება არ მოახდინა, იგი წამოდგა და ზიზღით ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ახალი მორიგე ბრძანდებით?

— დიახ, კოლეგა.

— მთლად ჭკვიანი არ უნდა იყო! იცი, მე ვინა ვარ? — მკაცრად მკითხა მან.

—კო... კოლეგა, — ასაკგადაცილებული პუმეკსი, რეკორდსმენი, — ვუპასუხე მე და, თან ვიგრძენი, რომ მუხლები მეკეცებოდა.

— სწორი არ არი. მე — პუმეკს მეორე ვარ, — ისე შემომხედა, როგორც მახრჩობელა გველი შეხედავს კურდღელს, — პუმეკს მეორე! ამით მე განვსხვავდები ჩემი ძმის — მეთერთმეტეკლასელ პუმეკს პირველისაგან, რომელიც ჩემი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს. გაიმეორე!

— კოლეგა — პუმეკს მეორე, რომელიც ამით განსხვავდება თავისი ძმის — მეთერთმეტეკლასელ პუმეკს პირველისაგან, რომელიც კოლეგას ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს.

— კეთილი! კარნახი იცი?

— ვიცი, მაგრამ...

—მე გეკითხები, იცი თუ არა კარნახი ფიზიოლოგიური შრიფტით?

— ლოგიურით... წარმოდგენა არა მაქვს.

— მაშ, თუ არ იცი... — პუმეკს მეორე ისევ მომაშტერდა, როგორც მახრჩობელა გველი — კურდღელს, — უნდა ისწავლო, მეტი გზა არა გაქვს. მორიგეები ყოველთვის სპეციალური ფიზიოლოგიური შრიფტით მიკარნახებენ ხოლმე. ასე და ამგვარად, დაიმახსოვრე ნიშნები: შუბლზე ხელის მიდება — ნიშნავს „ერთს“, ცხვირზე ხელის მიდება — „ორს“, ნიკაპზე — „სამს“, ყურზე ხელის მოკიდება — „ოთხს“, კბილების დაკრეჭა — „შვიდს“ ნიშნავს, ენის გამოყოფა — „რვას“, დახველება — „ცხრას“, დამთქნარება — „ნოლს“, ერთი ხელით თავის მოფხანა — ნიშნავს „გამოკლებას“, ორი ხელით მოფხანა — „მიმატებას“, მუშტის ჩვენება ნიშნავს —

„გამრავლებას“. ორი მუშტის ჩვეხება ნიშნავს — „გაყოფას“...

— კოლეგა ალბათ ხუმრობს... ყველაფერი ეს მე უნდა ვაკეთო?

— აბა ვინ უნდა გააკეთოს? წმინდა სულებმა? — შემომიტია პუმეკს მეორემ. — აბა, გაიმეორე! ახლავე შევამოწმებ, ყველაფერი დაიმახსოვრე თუ არა.

— სიფათის მოღუშვა — „ექვსი“... სიფათის მოღუშვა — „ექვსი“... — უმწეოდ გავიმეორე მე.

— მხოლოდ სიფათი დაიმახსოვრე?! — გაბრაზდა პუმეკს მეორე. — შე გამოთაყვანებულო, აბა, ყურადღებით იყავი, გაჩვენებ ნიშნებს!..

მან ლოყები გამობერა, ორივე ხელით თავი მოიფხანა და კბილები დაკრიჭა.

— აბა, რა იყო ეს?

— მაიმუნი.

— აი, შე იდიოტო, ეს ხომ არითმეტიკული მოქმედებაა.

— არითმეტიკული მოქმედება, — საჩქაროდ გავიმეორე მე.

პუმეკსმა მკაცრი სახით ამათვალიერა.

— თავიდანვე შევნიშნე, რომ შენ სუსტი ინტელექტი გაქვს. მაგრამ, არა უშავს, — მან ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო, — აი, ნიშანთა სია. გადაიწერ შესვენების დროს და დაიზუთხავ. მაგრამ გახსოვდეს, თუ შეგეშალა, — ვაი შენი ბრალი! გასაგებია?

— გას... გასაგებია!

— იცოდე, არ დაგავიწყდეს!

პუმეკს მეორემ -სევ ამხედ-დამხედა მკაცრი თვალებით და იდაყვი ოდნავ გამკრა გვერდში. მე კედელს მივენარცხე.

როცა წამოვდექი, პუმეკსი იქ აღარ იყო. კლასში ზიუზიამ და ლიულიამ შემოირბინეს.

— აბა, მარეკ, როგორ არის საქმეები, მალე ზარი დაირეკება. ოო, შენ ჯერ არაფერი არ გაგიკეთებია?

— ყველაფერი ასაკგადაცილებულების ბრალია... — სასოწარკვეთილი დავყურებდი ხელუხლებელ ქაღალდს.

საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს შემოცვივდნენ კლასში ჩესეკი და გეესეკი.

— ნახე, რა გვაქვს! — დაიყვირა ჩესეკმა, — მზა გირლიანდები მოვიტანეთ.

— სად იშოვეთ?

— მეშვიდეკლასელებს ვთხოვეთ. გუშინწინ მათაც დღეობა ჰქონდათ. ხომ გითხარი წეღან... ახლა კი — დავიწყოთ, მუშაობას შევუდგეთ, თორემ საცაა ზარიც იქნება. მოდით აქ. გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ. — ჩესეკმა ფანჯარასთან მიგვიყვანა, რომლის რაფაზეც ბალბიფოთოლას ქოთნები იდგა. — ქოთნებს ფერადი ქაღალდი შემოვახვიოთ და ყოველი ქოთნიდან ლენტები გავჭიმოთ ზევით, კარებისაკენ. ისეთი ბალდახინი იქნება, რომ... მართლა კარგი გამოვა, არა?

ყველანი ერთსულოვნად შევუდექით საქმეს, თუმცა ეჭვები მიღრნიდა გულს.

— შენ როგორ ფიქრობ, პანი ოკულოსოვას მოეწონება? — ვკითხე ჩესეკს.

— მოეწონება, მაშ! ასეთი გირლიანდები ჯერ არც ერთ კლასში არა ყოფილა. წმინდა წყლის პოეზიაა. ოკულუსოვა აღტაცებისაგან გაშეშდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲓᲐ

ᲒᲝᲒᲘ ᲜᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

როცა ვინმე
წარბშეკრული გვიწყრება
დედა გვიცავს,
დედა გვიდგას თავდებად,
ყოველი გზა
დედის კალთით იწყება,
ყოველი გზა
დედის გულთან თავდება.
ბოსტნის კვლებს და ვაზებს უვლის,
აცხობს, ხარშავს რეცხავს, კერავს...
გარეთ დადის ვეფხვის გულით,
ჩიტის გულით უზის კერას.
დედა შინ და დედა გარეთ,—
ბრმაც რომ იყოს, გულით გხედავს...
ლხინში ჩვენთან დანარნარებს,
გასაჭირში ვუხმობთ დედას.
რომ გავიდეს ასი წელიც—
დედისთვის ვართ მაინც ბავშვი,
თურმე ენით როცა გვწყევლის,
ძუძუებით გვლოცავს მაშინ.
დედა შვილებს გვიდგას გვერდით,
დედამ იცის მუნჯის ენა,
დედა არის ქვეყნად ერთი
და ვერავინ ვერ ცვლის დედას.

— ჩემი აზრით კი, ეს ყველაფერი საკმაოდ უცნაურია, — ვთქვი მე, — უცნაურია და საოცარი. რატომ უნდა იყოს ლენტები გაჭიმული კარიდან ბალბიფოთლებისაკენ?

— ტუტუცი ხარ, ტუტუცი, — ლმობიერად გამიღიმა ჩესეკმა, — ამაში ღრმა აზრია: როცა პანი ოკულუსოვა შემოდის კლასში, მისი გულიდან, როგორც მზიდან, გამოდის სხივები, და ჩვენ, ბალბიფოთლები, მისი სხივებით ვხარობთ. ამაში, ჩემო ძმაო, სიღრმე და პოეზიაა!

— შენ მართლა გენიოსი ხარ, — გაოცებით შეჰყურებდა ზიუზია ჩესეკს, — შესანიშნავი აზრია!

— მაშ არა და, — გაიცინა ნასიამოვნებმა ჩესეკმა და უკანასკნელი ქოთანი შემოდგა ფანჯრის რაფაზე. — მზადაა. ახლა კი ლენტები გავჭიმოთ მთელ კლასში და კარზე მივამაგროთ.

ჩესეკმა ჯოხზე დახვეული ლენტები გამომიწოდა.

— რაღას უდგეხარ? გაწიე ჩქარა! — დაიყვირა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებისაკენ გავიქეცი. ლენტები დაიჭიმა, გაისმა ყრუ ხმაური, გოგოებმა ხმამაღლა დაიწივლეს. მე მოვიხედე. იატაკზე ქოთნის ნამტვრევები ეყარა.

— ეს რა ჰქენი! — დაიყვირა სასოწარკვეთილმა ჩესეკმა.

— შენ არ მითხარი — ჩქარა გაწიეო!

— ლენტი გზადაგზა უნდა გამოგეხვია! ლენტები ხომ ქოთნებზე იყო გამობმული. ეჰ, ჩვენი ბალბიფოთლები!.. ვირი ხარ, ვირი. რა იდეა დაღუპე!

— ახლა რაღა უნდა ვქნათ? — ვიკითხე შეშინებულმა.

— ნატეხებს შორის ჩაყარე მიწა და ერთმანეთს მივაკრათ, ქაღალდს შემოვახვევთ და იქნებ დავმალოთ.

ქოთნის ნამსხვრევები ხვნეშით მოვაგროვე და შუბლი მოვიწმინდე.

— ლენტებს რაღა ვუყოთ?

— კარების თავზე დავამაგროთ და ფანჯრებისაკენ გამოვჭიმოთ, — არ დაფიქრებულა, ისე მიპასუხა ჩესეკმა.

— რატომ?

— შე სულელო, ვერა ხვდები? ეს იმას ნიშნავს, რომ პანი ოკულუსოვას გული თავისი სხივებით ანათებს მთელ მსოფლიოში.

— რას ამბობ! — გავიკვირვე მე. — მთელი ჩემი სიცოცხლე რომ მეფიქრა, ამის მსგავსს ვერაფერს მოვიფიქრებდი.

ლენტებს ხელი ვსტაცეთ და კარებთან მივირბინეთ.

— მოიცა, შეგსვამთ, — თქვა ჩესეკმა, — მოიტათ ჩაქუჩი და ლურსმნები. ოღონდ ჩქარა, საცაა ზარი იქნება.

ბავშვებმა ამწიეს, მეც საქმეს შევუდექი. ისე ვნერვიულობდი — რამდენიმეჯერ ჩაქუჩი თითებში ჩავირტყი, მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა. დაირეკა ზარი და იმწამსვე ერთი მითხარით, განა ეს ბოროტი ბედისწერა არაა? — იმწამსვე კარები გაიღო... ყველანი გაიქცნენ. მე კი... შეგიძლია წარმოიდგინოთ, რა დამემართა მე? ზევიდან დავეშვი, მთლად ლენტებში აბურდული, ველარ გავიგე, თავი სად მქონდა, ფეხები — სად.

კლასში შემოვიდა პითაგორა. შემოვიდა და... გაოცებისაგან გაშეშდა. მერე სათვალე გაიკეთა, ჩემსკენ დაიხარა და მკითხა:

— **რა არის ეს? ვინა ხარ შენ?**

— მე... მე მორიგე ვარ, — წავილუღლუღე მე და თან ლენტებს ვიშორებდი.

— განა ასე უნდა გამოიყურებოდეს მორიგე? — პითაგორამ ჯიბიდან სარკე ამოიღო და ცხვირწინ მომიტანა.

მთლად მიწაში ვიყავი ამოსვრილი, თმებში ფერადი ქაღალდის ნაგლეჯები მქონდა გაჩრილი.

— და საერთოდ, — მიმოიხედა გარშემო პითაგორამ, — რა მასკარადი გაგიმართავთ?

— ეს... მასკარადი კი არა, პანი ოკულუსოვას დღეობაა, — დავიწყე განმარტება. — ჩვენ გვინდოდა... რადგან პანი ოკულუსოვას გული უშვებს სხივებს, და ჩვენ... ჩვენ კი ვიფურჩქნებით მის სხივებში, როგორც გირლიანდები...

— რა სისულელეს როშავ? — აქაჩა წარბები პითაგორამ — აბა, გასწი შენს ადგილზე!

ჩემი ადგილისაკენ გავიქეცი. პითაგორამ სია ამოიკითხა და დაფასთან გეესეკი გაიძახა.

— დაწერე, გეთაყვა, — თქვა პითაგორამ, — „ცისტერნაში ჩაასხეს ათას ოთხმოცი ლიტრი ნავთობი“...

გეესეკმა ცარცის ძებნა დაიწყო, მაგრამ ცარცი არსად არ იყო.

— რატომ არა სწერ, გეთაყვა? — წარბი შეიკრა პითაგორამ.

— იმიტომ რომ, ცარცი არ არის.

— აი, წესრიგიც ამას ჰქვია! — დაიყვირა პითაგორამ. — მორიგე, ჩემთან!

მივირბინე. პითაგორამ სათვალე გაიკეთა და მკაცრი მზერა მომაპყრო.

— აჰა... რასაკვირველია, ასეთი მორიგისაგან მეტსაც უნდა მოელოდე... სად არის ცარცი, ყმაწვილო?

— არ ვიცი, — ვუპასუხე შეშინებულმა, — გაკვეთილების დაწყებამდე იყო. ალბათ... ისევ პაპკევიჩმა შეჭამა.

— რაებს იგონებ, ყმაწვილო! განა ადამიანები ჭამენ ცარცს?

— პაპკევიჩი ჭამს.

— პაპკევიჩ, ჩემთან! — დაიბუხუნა პითაგორამ, — მართლა შენ შეჭამე ცარცი?

— დიახ, — გამოტყდა პაპკევიჩი.

პითაგორა გაოცებული შეჰყურებდა მას:

— რა საშინელებაა! რატომ შეჭამე?

— მორიგე პეგუსმა მომცა ცარცი და მითხრა, შეჭამეო. ძალიან მოსწონს, რომ მე ცარცსა ვჭამ.

— მართალი არ არის, ტყუის... მე...

— ახსნა-განმარტება შემდეგ იყოს, ყმაწვილო, — შეაწყვეტინა გაბრაზებულმა პითაგორამ და პაპკევიჩს მიუბრუნდა. — ასე... შენ ამტკიცებ, რომ პეგუსმა მოგცა ცარცი, შენ კი მორჩილად შეჭამე, არა?

— თავი ვერ შევიკავე, პან პროფესორო, როცა ცარცს მაძლევენ, ყოველთვის ვჭამ ხოლმე. თავს ვერ ვიკავებ.

— მაგრამ... ხომ გაწყენს! — შეშინდა პითაგორა. — პაპკევიჩ, ახლავე წადი ექიმთან.

— კეთილი.

პაპკევიჩმა თავი დაუკრა და გავიდა.

— მორიგე პეგუს! — დაიღრიალა პითაგორამ. — სად არის სათადარიგო ცარცი?

— ჯიბეში მაქვს.

ხელის კანკალით გადმოვიბრუნე ჯიბეები. გადმოცვივდა ზდების სამართებელი და პატარა საპარსავი ფუნჯი. პითაგორამ ცნობისმოყვარეობის გამო კისერი წაიგრძელა.

— რა გაქვს მანდ, გეთაყვა?

მე გავუწოდე სამართებელი და ფუნჯი. პითაგორამ ყურადღებით შეაბრუნ-შემოაბრუნა.

— რა არის ეს, ყმაწვილო?

— ეს... ეს ფუნჯია, ეს სამართებელი, — წავილუღლუღე მე.

პითაგორა მოიღუშა.

— ეს როგორ, შენ?!

— მე არა... მე მხოლოდ...

— მაშ, ეს ხელსაწყოები საიდან გაქვს, ყმაწვილო?

მე მინდოდა სიმართლე მეთქვა, მაგრამ ზდების მკაცრი გამოხედვა გამახსენდა და თავი ჩავღუნე.

— მე... მე პარიკმახერობას ვსწავლობ.

— აჰა, — ეშმაკურად გაიღიმა პითაგორამ, — და, ალბათ, ამხანაგებზე გადიხარ პრაქტიკას, არა? ხომ ვერ მეტყვი, გეთაყვა, დღეს რომელი ამხანაგი გაპარსე?

ნაღვლიანად მიმოვიხედე:

— მე, გავ... მე გავპარსე კოლეგა ზდები.

— ზდებ, ჩემთან! — დაიყვირა პითაგორამ.

შეხვეული, სევდიანი სიფათით ზდები კათედრას მიუახლოვდა.

— მორიგე პეგუსმა გაგპარსა დღეს? — შეეკითხა პითაგორა.

— გამპარსა, პან პროფესორო...

— როგორ გაგპარსა, როცა მთელი სახე შეხვეული გაქვს?

— სწორედ გაპარსვის შემდეგ შევიხვიე, პან პროფესორო.

— სამართებლით გაგიჭრა კანი?

— დიახ, პან პროფესორო...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოქმედ: ყველას აქვს იმდენი ძალა, რომ გააკეთოს ის, რაშიც დარწმუნებულია.

ჩ. დარვინი: არაფერი არ არის ისე აუტანელი, როგორც უსაქმურობა.

დემოკრიტე: მუდამ სხვის მძრახავს — მეგობრობა არ შეუძლია.

ბ. ვერონეზე: ხატვა, თანდაყოლილი ნიჭის გარეშე, იგივეა, რაც მდინარეში თესლის გადაგდება.

მ. ლესინგი: ვინც არ იღებს ჩემს დახმარებას, როცა მას უჭირს, — იგი არ მოისურვებს დამეხმაროს, როცა მე გამიჭირდება.

საადი: ერთხელ, გაზალს (არაბ ფილოსოფოსს) ჰკითხეს: რითი მიაღწიე ასეთ დიდ სიმაღლეს მეცნიერებაშიო. „იმით, რომ არ მრცხვენოდა სხვებისთვის მეკითხა ის, რაც არ ვიცოდი“, — მიუგო მან.

ბ. სირი: სხვებს ბევრი რამ აპატიე, საკუთარ თავს — არაფერი.

ე. ტოლრე: ადამიანის სიცოცხლე უნდა ჰგავდეს ამ მდინარეს, ჩემს წინ რომ მიედინება: კალაპოტი მუდამ ერთი და იგივეა, ტალღები კი — ყოველ წამს ახალ-ახალი.

ხ. ჯეფერსონი: თუ გაბრაზებული ხარ, სანამ რაიმეს იტყოდე, ათამდე დაითვალე, თუ განრისხებული ხარ, — დაითვალე ასამდე.

ვ. ჰიუგო: დედამიწაზე არ არსებობენ პატარა ხალხები. ხალხის სიდიადე სრულიადაც არ იზომება მისი რიცხოვნებით, როგორც ადამიანის სიდიადე არ იზომება მისი სიმაღლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთოს პალტო

არკადი ხუნდაძე

(ნამდვილი ამბავი)

ნახატი
გაიოზ ფოცხიშვილისა

რვა წლის ქეთო საბავშვო სახლში მიიყვანეს.

პირველი დღიდანვე უხალისობა დაეტყო, სულ თავჩაღუნული და მოწყენილი იყო, ხმას არ იღებდა, არავის არ ეკარებოდა, ისე გაბუტული იყურებოდა — თითქოს ვიღაცაზე ძალიან ნაწყენიაო.

ქეთოს არც დედა ჰყავდა და არც მამა; საბავშვო სახლში ძველი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი გახადეს ახლები ჩააცვეს, გაქათქათებულ ლოგინში ჩააწვინეს.

— რამ მოაწყინა, რა მოუვიდა, საოცარია. ვეკითხებით მოწყენის მიზეზს და ხმას არ იღებს; სხვა ბავშვებივით არც ჭამს, არც სვამს, არც ტოლებთან თამაშობს, — ამბობდნენ აღმზრდელები.

ქეთო ექიმმა გასინჯა, — არაფერი არ ტკივაო, — თქვა.

ბავშვი ზოგჯერ განმარტოებით ჩამოჯდებოდა და ჩუმად იცრემლებოდა.

ერთ მზიან დღეს ქეთო ცაცხვის ჩრდილში მესერთან მიმდგარიყო და გაჰყურებდა შორს, შორს... იდგა უხმოდ და უმოძრაოდ.

ბავშვებთან აღმზრდელი მივიდა.

— ქეთინო, შენ არც ისე პატარა ხარ, თქვი რა გაწუხებს, რატომ ხარ მუდამ დაღვრემილი. აბა, შენ რომ ჰკითხო ვინმეს რამე და პასუხი არ გაგცეს — კარგი იქნება? მოგეწონება? ჰოდა, თქვი — რატომ ხარ მოწყენილი?

ქეთო ხმას არ იღებდა.

აღმზრდელმა იგი ერთ ოთახში შეიყვანა.

— ხედავ ამ სურათს?

— ვხედავ, სამხედროა. ჩემი მამაც სამხედრო იყო, ომში დაიღუპა.

აღმზრდელმა ქეთოს თავზე გადაუსვა ხელი.

— ეს სამხედრო ჩვენს საბავშვო სახლში აღიზარდა. ისიც უდედმამო იყო, შვიდი წლისა... საბავშვო სახლში მოვიყვანეთ და ღვიძლი შვილივით აღვზარდეთ. ჩემი სახელი იცი? — ჰკითხა აღმზრდელმა ქეთინოს.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მარო დეიდას გეძახიან.

— გიორგიც (ამ სამხედროს გიორგი ჰქვია) მარო დეიდას მეძახდა. ფრონტიდან კი — „დედაო“ მწერდა. ჰო, ჩემო ქეთინო, ჩვენთან ისე უნდა იყო, როგორც შვილი — დედასთან. რაც გაწუხებს, ყველაფერი უნდა გვითხრა, არაფერი არ უნდა დაგვიმალო...

ქეთინოს თვალზე ცრემლი მოერია, გული აუჩუყდა, ტუჩები შეუთრთოლდა.

ახლა კი მართლაც ძალზე გაოცდა აღმზრდელი.

— რა იყო, ქეთინო, რა მოგივიდა.

— რა და, ჩემი პალტო! — ამოიტირა ქეთინომ, — იგი დედაჩემის შეკერილია და ძალიან მიყვარს... მიჩვენეთ ჩემი პალტო...

— შენ ხომ ახალი პალტო გაცვია, ის ხომ ძველია...

ამას დასამშვიდებლად ეუბნებოდა, თორემ აბა რისი აღმზრდელი იყო, თუ ბავშვს გულის ტკივილს არ მიუხვდებოდა.

— დეიდა მარო, — ეხვეწებოდა გულამოსკვნილი ქეთინო, — თუ არ გადაგიგდიათ, მაჩვენეთ ჩემი პალტო, მე მქონდეს, ჩემთან იყოს, ის დედაჩემის შეკერილია და მე ძალიან მიყვარს. დეიდა მარო...

აღმზრდელმა ქეთინოს მხრებზე ხელი მოხვია და საწყობისაკენ წაიყვანა.

ქეთინოს ცრემლიანი თვალები გაუბრწყინდა, დაწყნარდა, დამშვიდდა... საწყობში შევიდნენ.

— აი, შენი პალტო, — უთხრა აღმზრდელმა და კედელზე დაკიდებულ ერთ ძველ პალტოზე მიუთითა.

ქეთინო პალტოსთან მიიჭრა, ხელები მოუფათურა, შეაბრუნ-შემოაბრუნა, — ისე სათუთად და ნაზად, — გეგონებოდათ, ყველაზე მახლობელ, ყველაზე საყვარელ ადამიანს ეფერებაო.

ჩვენი თანამედროვე

(ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს დაბადების ასოერმოცდაათი წლისთავის გამო)

ერთი უკრაინული სოფლის ბოლოში იდგა ისლით გადახურული ქოხი. ამ ქოხში 1814 წლის 25 თებერვალს დაიბადა ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო...

პატარა ტარასის ბაბუა მეწაღე იყო; მიჯდებოდა იგი მზის ყურეში და თან ძვლებს ითბობდა, თან ჯღანებს აკერებდა,—ხელები უკანკალებდა, ნემსი და სადგისი აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ რა ექნა, სხვა გზა არ ჰქონდა. (უკრაინულად მეწაღეს ჰქვია შვეც,—აქედანაა წარმომდგარი გვარი—შევჩენკო).

ზამთრის გრძელ ღამეებში პატარა ტარასი საათობით უსმენდა ბაბუას ზღაპრებს. ბაბუამისი მრავალ ჰორგამოვლილი კაცი იყო, მას ბევრი რამ ენახა და განეცადა. როცა იგი ზღაპარს, ან ჩაგრული ხალხის ცხოვრებიდან ნამდვილ ამბავს ჰყვებოდა,—პატარა ტარასის ეჩვენებოდა, თითქოს მის ღარიბულ ქოხში საშინელი ქარიშხალი ტრიალებდა და ვილაც განწირული შველას ითხოვდა...

ასე ჩაეძინებოდა თბილ ღუმელთან; ძილშიც ეხმოდა მათრახების შხუილი, ცხენის ფლოქვთა თქარათქური და საშინელი ყვირილი.

ხშირად დაჰყვებოდა ხოლმე მამას ბაზარში. იქ უსინათლო მომღერალი კობზარები ხალხურ საკრავებზე დამღეროდნენ თავიანთ ჰირვარამს და გროშებს თხოულობდნენ.

პატარა ტარასის დედ-მამა ადრე მოუკვდა,—იგი რვა წლისა ჩაება ცხოვრების ფერხულში.

იმედით და გამარჯვების მტკიცე რწმენით იყო სავსე პოეტის ლექსები. დიდ კობზარს სჯეროდა, რომ ხალხის ერთიანი ძალა, თავისუფლების მოპოვების მძაფრი სურვილი სამუდამოდ დაამხობდა საძულველ წყობილებას და ადამიანი შვებით ამოისუნთქავდა.

ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანები შევჩენკოსაგან სწავლობდნენ საერთო საქმისათვის, სამშობლოსათვის თავდადებას; სახალხო პოეტის მთელი ცხოვრება და შემოქმედება მაღალი ჰუმანური იდეებისათვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი იყო.

შევჩენკოს შემოქმედება მახლობელი და საყვარელია არა მარტო ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებისათვის, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობისათვისაც,—მისი ხმა მხოფლიოს მრავალ ენაზე ჟღერს.

ქართულად თარგმნილია შევჩენკოს საუკეთესო ნაწარმოებები.

პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს დიდი უკრაინელი კობზარის დაბადების 150 წლისთავს.

ტარას შევჩენკო ჩვენი თანამედროვეა,—იგი ახალგაზრდა თაობებს დღესაც ასწავლის სამშობლოს მგზნებარე სიყვარულს.

ტარას შევჩენკო

სიზმარი

მემამულის პურს მკიდა,—
წკრიალებდა ნამგალი,
გაგანია სიცხეში
ბიბინებდა სამკალი.
სევდიანად მღეროდა,—
დაქანცული, დაღლილი...
შემოესმა ჩეროდან
ჩვილი ბავშვის კნავილი.

წალასლასდა პირმშოსკენ,
ძუძუ მისცა პატარას...
შუადღის მზე ნამკალში
აცხუნებდა თაკარა.
შვებას გრძნობდა ორთავე
ერთმანეთის ცქერაში,—
ჩერგილების ჩეროში
ჩაეძინა დედა-შვილს.
დედამ ნახა სიზმარი:
მისი ბიჭი—კაცია;
ლამაზია... მდიდარი...
დიდებულად აცვია...
აგერ, ღმერთო,—რას ხედავს,—
საკუთარი სამკალი!..
მისი შვილიც აქ არი,
მისი რძალიც აქ არი.
აგერ—შვილიშვილებმა
მოიტანეს სადილი...
ნეტავი ეს სიზმარი
იქნებოდეს ნამდვილი;
მაგრამ არა:
როს თვალი
გაახილა საწყალმა,—
ჩაუშხამა სიზმარი
მემამულის სამკალმა.

თარგმნა **გივი ძნელაძემ**



„ზღვიური“

არტეკი! — დიდი ხანია, რაც ეს სიტყვა პიონერთა მხიარული დასვენებისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვთა მეგობრობის სიმბოლო გახდა.

ყირიმში, დათვის მთის ძირას მარადმწვანე მაგნოლიებსა და კიპაროზებს შორის, გადაიშალა ახალი საერთაშორისო პიონერული ბანაკი „ზღვიური“. ეს სახელი შემთხვევითი როდია. თითქოს მართლაც ზღვის აქაფებულ ტალღებიდან წარმოქმნილან ნაპირზე ჩამწკრივებული ნარფერი მსუბუქი შენობები, დიდი ხომალდის გემბანის მსგავსი ბრტყელი სახურავებით; თითქმის გამჭვირვალენი, — ისინი ყოველმხრივ გახსნილან მზისა და ჰაერის შესაგებებლად.

ახალ ბანაკში ყველაფერი არაჩვეულებრივია. ყოველ კორპუსს თავისი ფერი აქვს. მარჯნისფერ, ზურმუხტისფერ და ნარინჯისფერ კორპუსებს რომ ჩავუვლით, მოედანზე გავალთ, რომელსაც მეგობრობის მოედანი ჰქვია. ეს არის ბანაკის ცენტრი, პიონერთა შეკრების ადგილი. ყირიმის ფერადი ქვებისაგან შესრულებული დიდი მოზაიკური პანო მოგვითხრობს მსოფლიოს ბავშვთა მეგობრობაზე. აქვეა ლენინის ოთახი, სადაც შეგვიძლია გავეცნოთ ილიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საბჭოთა ხალხის შრომასა და გმირობას.

ეს მრავალფეროვანი გიგანტური „სოკოები“ რალა არის? ეს — ბანაკის სასადილოა. იგი მშვენივრად ერწყმის სამხრეთის ბუნების მდიდარ პალიტრას — ლურჯ ზღვას,

ზურმუხტოვან ხეებსა და მთებს. მეტად საინტერესოა აქაური ვიტრაჟები, რომლებიც ჩვენი პლანეტის ბავშვთა თამაშობებს ასახავენ. ვერავინ ვერ იფიქრებს, რომ ეს ლამაზი სახახაობა შექმნილია მინის წარმოების ნარჩენებისაგან.

მცირე არქიტექტურული ფორმების შექმნისას პროექტის ავტორებმა დიდი მხატვრული გემოვნებით გამოიყენეს ყირიმის ქვების მრავალფერადობა. აი, უჩვეულო ფორმის დეკორატიული აუზები. ერთი აუზის მოზაიკური ფსკერი ფერადი ქვებისაგანაა გაკეთებული, მეორისი (თოლია და ფესტივალის ყვავილები) ფერადი კერამიკის ნამტვრევებისაგანაა აწყობილი. დიდი ქვებით გაკეთებულია სკამები, სავარძლები, მაგიდები.

ამ ბანაკში ბუნება და არქიტექტურა ორგანულად არიან შერწყმული ერთმანეთს. მშენებლებს, ბანაკის მშენებლობისას ამ ტერიტორიაზე არ მოუჭრიათ თითქმის არც ერთი ხე. ნარგავები კარგად შეეთვისნენ ახალ ნაგებობებს. ბანაკი „ზღვიური“ — ბუნების და ნაგებობების ერთიანი ანსამბლია.

მოდით, ახლა ამ მსუბუქი კიბით შევიდეთ რომელიმე საძილე კორპუსში, აი, თუნდაც „ზურმუხტოვანში“. კიბეს მივყევართ დაჩრდილულ აივნამდე და აქედან შევდივართ ფართო და ნათელ საძილე ოთახებში. ყოველ ოთახში ათი საწოლია, ე. ი. ყოველ პიონერულ რგოლს თავისი საძილე ოთახი აქვს. ზღვისაკენ და პარკისაკენ მიშვერილ ოთახებს მინის და ალუმინის კედლები აქვთ. ისინი ადვილად იხსნებიან და ეს ოთახები იქცევიან ორმხრივ განათებულ ლოჯიებად, სადაც ერთი მხრიდან პარკის ხეივნების სურნელება შემოდის, ხოლო მეორედან— ზღვის ტალღების ხმაური და სიგრილე.

ამრიგად, ზღვის ჯანსაღი ჰავა საძილე ოთახის ყოველ კუნჭულს აღწევს. ავდივართ საძილე კორპუსის ზევით და ჩვენს თვალწინ სახურავის მაგიერ ხომალდის „გემბანი“ იშლება. ქვევიდან ზღვის ტალღების ხმაური ისმის. შთაბეჭდილება ისეთია— თითქოს ჩვენი ზღაპრული ხომალდი ზღვის ტალღებს მიაპობს.

საძილე კორპუსის ქვემოთ, ზღვის ჩრდილიანი სანაპირო შესანიშნავი დასასვენებელი ადგილია ბანაკის შემდეგ.

ამ ბანაკის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პიონერებმა. ისინი ეძებდნენ საჭირო ფერისა და ზომის ქვებს, აგროვებდნენ კერამიკის ნარჩენებს...

ალბათ გაინტერესებთ, ვინ დაამუშავა ამ ბანაკის პროექტი. ესენი არიან მოსკოვის № 5 საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორები ა. პოლიანსკი, დ. ვიტუხინი, ნ. გიგოვსკაია, ინჟინერი ი. რაკკევიჩი.

არქიტექტორებმა და მშენებლებმა ბანაკის ყველა შენობას საფუძვლად დაუდეს ექვსი ტიპის კონსტრუქციული ელემენტი, რომელთა დამზადება ხდებოდა ინდუსტრიულ-ქარხნული წესით. ამან მნიშვნელოვნად გააიაფა შენობათა ღირებულება და საშუალება მისცა მშენებლებს ბანაკის მთელი კომპლექსი აეშენებინათ უჩვეულოდ მოკლე ვადაში — ცხრა თვის განმავლობაში.

პიონერთა ბანაკ „ზღვიურის“ კომპლექსი რომ შეადაროთ 8-10 წლის წინათ აშენებულ ამავე ხასიათის სხვა ნაგებობებს, თვალში გეცემათ ფორმათა სისადავე და სიმსუბუქე. აქ არ არის მძიმე კოლონები მდიდრული კაპიტელებით, ორნამენტებით აჭრელებული კედლები... სამაგიეროდ, აქ არის მოხერხებული და მსუბუქი ძეხობები ნათელი და ფართო სათავსებით, რომლებიც ჩინებულადაა შეხამებული გარემოსთან. დიდი გემოვნებით შერჩეული ფერები შენობებისა, სათავსებისა და ყოველი დეტალისა — ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ეს ბანაკი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი მთავრობა ნორჩი თაობის აღზრდისათვის.



ელ. ჯაველიძე

ეკალგაცლა

მე და ჩემი ძმა, საშუალო სკოლის მოსწავლეები, არდადეგებს ქობულეთის რაიონში ვატარებდით. მაგრამ უქმად როდი ვისხედით. ჩვენი მშობლების წყალობით იმთავითვე შეგვიყვარდა — აგრონომიული საქმიანობა. უკვე საკმაოდ დახელოვნებული მყნობელები ვიყავით და სახელგანთქმულ სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეებს ციტრუსების მყნობაში ვშველოდით. ბევრს კიდევაც უკვირდა, რომ მოსწავლეები ასეთ სერიოზულ საქმეს ვაკეთებდით. ერთ დღეს ჩვენთან ვიღაც ბავშვი მოვიდა, შორიახლოს დადგა და ყურადღებით აკვირდებოდა ჩვენს მუშაობას. შემდეგ მორიდებით გვკითხა: სად და ვისი დახმარებით ვისწავლეთ ეს საინტერესო საქმე, ან რამდენ თვეში შეიძლება შეისწავლოს კაცმა იგი... ჩემს პასუხზე — მყნობას ორ დღეში შეგასწავლი-თქო — თვალები გაუბრწყინდა და სანამ კარგად არ დაეუფლა ამ საქმეს აღარ მოგვცილებია.

მომდევნო წლებში კი გაზეთებიდან გავიგე: როგორ გამართა ელიას მოწყობილმა სკოლის საცდელ ნაკვეთზე პატარა სანერგე; როგორ დაამყნა და გაახარა მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ხურმა და სხვა. ელიასს შემდეგაც არ უღალატნია ამ საქმისათვის. წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დღეს საქმის დიდი სიყვარულით მუშაობს ჩაქვის ერთ-ერთი დიდი საბჭოთა მეურნეობის აგრონომად.

მყნობა მეტად საინტერესო და კეთილშობილური საქმეა. აბა რა სჯობია, პანტის ან მაჟალოს საძირეზე შენივე ხელით დაამყნო და გაახარო ძვირფასი ჯიშის მსხალი და ვაშლი.

მყნობა ორგვარია: კვირტით მყნობა

და კალმით მყნობა. კვირტით მყნობა უფრო მოსახერხებელია, იოლი და სწრაფი, თან ნამყენიც კარგად ხარობს. კალმით მყნობა ძალზე ბევრ შრომას მოითხოვს, თანაც ნამყენი ხშირად ვერ ხარობს, ამიტომ ხეხილის მყნობა ძირითადად კვირტით წარმოებს.

ხეხილის კვირტით მყნობის ძირითადი სეზონი იწყება 20 ივლისიდან და გრძელდება აგვისტოს თვის ბოლომდე. ამ დროს საძირეებიც ზრდადასრულებულია

ეკალგ

და კალმებიც ბლომად იშოვება. ამინდიც თბილი და ნაკლებ ნალექიანია. ზაფხულში დამყნილი კვირტები საძირესთან უკეთ ხორცდება, მაგრამ იმავე წელს არ იღვიძებს. ზამთარს მძინარედ ატარებს და გაზაფხულზე იწყებს ზრდას.

ხეხილის კვირტით მყნობას ნაწილობრივ გაზაფხულზე—მაისშიც აწარმოებენ. მაისში უმეტესად თუთასა და წინა ზაფხულში ფუჭად დამყნილს ხელახლა ამყნობენ. მაისის მყნობისათვის კალმების აღება ადრე ხდება — გაზაფხულზე, კვირტების გაღვიძებამდე. აღებული კალმები ინახება გრილ ადგილზე და იფარება მდინარის სილით. გაზაფხულზე ნამყენი კვირტები იმავე წელს იწყებენ აღმოცენებას.

ხეხილის კვირტით მყნობისას საძირე აუცილებლად ფანქარზე მსხვილი უნდა იყოს. მყნობა ხეხილის სახეობის მიხედვით ხდება. პანტის და კომშის საძირეებზე იმყნობა მსხლის კვირტი, მაჟალოს საძირეზე—ვაშლი, ატმის, ტყემლის და ნუშის საძირეებზე — სხვადასხვა ჯიშის ატმები. ტყემლის და ნუშის საძირეზე ატამს იმიტომ ამყნიან, რომ ატმის ხე საერთოდ დიდხანს ვერ ცოცხლობს. ტყემლის და ნუშის საძირეებზე ისინი დიდხანსაც ცოცხლობენ და უხვ ნაყოფსაც იძლევიან. ტყემლის საძირეზე კარგად ხარობს აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის ქლიავის და ალუჩის ნამყენი. ჭერამის საძირეზე ამყნიან ძვირფასი ჯიშის გარგარს. წვრილნაყოფა და ველური მწარე ბლის საძირეებზე იმყნობა მრავალი ქართული და უცხოური ძვირფასი ჯიშის ბალი. მყნობის შემდეგ საძირე უნდა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირწყას, ეს ხელს უწყობს საძირეში წვენთა მოძრაობის აქტიურობას და ნამყენთა უკეთ შეხორცებას. მყნობა ყოველთვის ჯანსაღ და სუფთა საძირეზე უნდა ჩატარდეს. საკვირტე კალმის დამზადება ზაფხულის მყნობისათვის, მყნობის წინ ხდება. კალმები ყოველთვის ჯანსაღ და ჯიშიან სადედე ხეებზე უნდა იქნას აღებული.

სადედე ხეებიდან კარგად დამწიფებული კალმები უნდა მოიჭრას. ისინი აჭრისთანავე უნდა გასუფთავდეს ფოთლებისაგან. ფოთლის მოცილებისას კალამი მარცხენა ხელში უნდა გეჭიროს და ბოლოთი შენსკენ იყოს მოშვერილი;

მარჯვენა ხელის ოთხი თითით კი იჭერ გალესილ დანას ისე, რომ ცერა თითი თავისუფალი გქონდეს. ცერა თითით ფოთოლს გადახრი მის გადასაჭრელად მომარჯვებულ დანისაკენ და სჭრი მას (სურ. 1). ფოთლის ყუნწის ასე გადაჭრისას დანა ინერციით კალმისკენ კი არ მიდის, არამედ მისგან ზემოთ და კვირტი ყოველთვის დაუზიანებელი რჩება.

კალმებზე ფოთლის ყუნწების გადანაჭრები, რაც შეიძლება, ძირში უნდა გადაიჭრას, მაგრამ ისე, რომ კვირტი არ დაზიანდეს.

ეს ყუნწები მყნობისას თან მიყვებიან კვირტებს და გახარებამდე მათ ხარჯზე არსებობენ. დამზადებული კალმები გრილად უნდა იქნეს შენახული.

ამის შემდეგ იწყება მყნობა: მარცხენა ხელის ოთხი თითით იჭერ კალამს, გამართული საჩვენებელი თითის წვერით კი ამაგრებ კალმის იმ ადგილს, საიდანაც კვირტი უნდა ათალო (სურ. 2). მარჯვენა ხელში კი ისე იჭერ სამყენ დანას, რომ ცერა თითი თავისუფალია. დანას აჭერ აღმოსაცენებელ თვალიდან ერთი, ერთნახევარი სანტიმეტრით ქვემოთ. მარჯვენა ხელის თავისუფალ ცერს უმარჯვებ იმავე მანძილზე კვირტს ზემოთ და დანის მოსმით მერქნის თხელ ფენასთან ერთად მოთლი კვირტს ისე, რომ კვირტის ორივე ნაწილი დაახლოებით თანაბარი სიგრძისა იყოს. კვირტს დანაზევე იჭერ. ცერით და საჩვენებელი თითის დახმარებით საძირის კანს ქვემოდან ზემოთ ამოსერავ (სურ. 3). საძირის პარალელურად, დასამყენი კვირტის სიგრძეზე, ამ ჭრილობის თავზე, გადამკვეთად, ოდნავ დაფერდებულად დააჭერ დანას. (სურ. 4). კანის გაჭრისთანავე, დანას, აუღებლად, ოდნავ შემოაბრუნებ მარჯვნივ და ავტომატურად იხსნება საძირე რუსული „T"-ს მაგვარი ჭრილი, რომელშიაც დანიდან პირდაპირ ჩაუშვებ კვირტს. შემდეგ ყუნწის ზემოთ, ღია ჭრილზე თითის დაჭერით ხურავ ჭრილს, ამის შემდეგ იწყება ნამყენის შეხვევა (სურ. 5). შესახვევად იყენებენ საერთოდ ისეთ მასალას, რომელიც წყალს არ ატარებს. შეხვევისას არ დაგავიწყდეს, რომ აღმოსაცენებელი კვირტი უნდა ჩანდეს.

გახარებული ნამყენის გამოცნობა 20-25 დღის შემდეგ შეიძლება. თუ კვირტზე დარჩენილი ფოთლის ყუნწი გაყვითლდა და თავისით ჩამოვარდა, მაშინ ნამყენი გახარებულია.

გახარებული ნამყენი გაზაფხულზე კვირტს ზემოთ უნდა გადაჭრა.

ზუსტად ასევე წარმოებს ციტრუსების მყნობაც.

გივი ახვლედიანი
აგრონომი



შვილების ოცეული

ვინმე ამერიკელმა ბიზნესმენმა, თავისი საქონლის რეკლამის მიზნით, განაცხადა, რომ ბავშვიან მყიდველს 5 პროცენტის დაკლებით მიჰყიდდა მაცივარს. ერთ მშვენიერ დღეს, მაცივრის მაღაზიაში უცნობი კაცი გამოცხადდა. „ჩეტემი, ტეხასიდან — გაეცნო, იგი ბიზნესმენს, — — ესენი კი — ჩემი შვილებია". ჩეტემის უკან, მისი მემკვიდრეების მთელი ოცეული — 21 ბავშვი იდგა.



ბიზნესმენი იძულებული შეიქნა, უფასოდ გაეცა ახალთ-ახალი მაცივარი. თავის მხრივ, ჩეტემმა დიდსულოვნად განაცხადა უარი იმ ხუთ პროცენტზე, რომელიც ბიზნესმენისაგან აქეთ ერგებოდა.

უჩვეულო ბუდე

შვეიცარიის ქალაქ სოლეირში იპოვეს ჩიტის ბუდე, რომელიც მთლიანად ლითონის ნაწილებისაგანაა გაკეთებული. ლითონის ნაწილები ჩიტს საათის ქარხნის ნარჩენებიდან მოუზიდნია. ჩიტის ეს არქიტექტურული შედევრი ადგილობრივ მუზეუმში ინახება.

ძროხები და მოძრაობის წესები

სამანქანო გზაზე ღამის ბინდში გამოსულ ძროხებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ წინ— თეთრი, ხოლო უკან — წითელი ფარანი, — ასეთი დადგენილება გამოიტანეს ინგლისის ზოგიერთი საგრაფოს ხელისუფლებმა. საქმე იმაშია, რომ ინგლისის გზებზე უკანასკნელ ხანებში გახშირდა რქოსან „ქვეითებთან“ ავტოტრანსპორტის დაჯახების შემთხვევები.

რამდენი ვეფხვია საბჭოთა კავშირში?

ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშიეში ამჟამად 50 ვეფხვია. შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქედის მიდამოებში დაძრწის ვეფხვების ხროვა, რომელზედაც მეცნიერები დაკვირვებებს ახდენენ.

ურთიერთთავდებობა

ინგლისში მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ გააუქმეს კანონი, რომლის თანახმად ტაქსის მძღოლს ხელი ეკიდა ზონარის ერთ ბოლოზე, მეორე ბოლო კი მგზავრს ეჭირა. საშიშროების შემთხვევაში, მგზავრი ზონარს მოქაჩავდა. კანონი იმ დროს გამოიცა, როდესაც ავტომობილის ძრავა ისე ხმაურობდა, რომ მძღოლს მგზავრის ხმა არ ეყურებოდა.

ჩვენი ჟურნალის ეს განყოფილება, როგორც ვწერდით (იხ. „პიონერი“ № 7), მიზნად ისახავს ყოველდღიურ ცხოვრებაში უაღრესად აუცილებელ, უმართებლოდ დავიწყებული სიტყვების აღდგენას.

დღემდე, განმარტებებითურთ, გამოვაქვეყნეთ სიტყვები: ავრეხი, ლეშხი, უჯმაჯური (პიონერი № 7), აბრაგანი, წანწალა, მასკნე (№ 8), ბელლარი, ოდოჟღერი, ჟინჟღილი (№ 9), ბონდი, ტავარნა, ტრიზა (№ 10), გალი, ტოილო, ჩერგილი (№ 11), ხიჩატელი, კალნაბი, ნურა (№ 12).

ამ სიტყვების უმეტესობა მკვდარ სიტყვებადაა მიჩნეული; ამიტომ მივმართეთ ჩვენს მკითხველებს,— მოეწერათ—გაუგონიათ თუ არა ეს სიტყვები.

როგორც მკითხველთა წერილებიდან ჩანს, ბევრი ამ სიტყვათაგანი თურმე ცოცხალი ყოფილა.

ნათელა ცისკარიძე ახალქალაქიდან გვწერს: „ჩვენთან სიტყვა **ტავარნას (ტაბარნას)** ხშირად ხმარობენ და იგი ნიშნავს ადამიანის ფეხზე, მანქანის ბორბალზე, ურმის თვალზე... მიკრულ ტალახს. „აბჯარაულს (ადგილია ჩვენში) რომ გამოვცდი, ისეთი ტალახი იყო, **ტაბარნამიკრულ** ურემს ხარი ძლივს ერეოდა“ — გაიგონებთ ჩვენს სოფლებში.

— გეგეჭკორის რაიონში ხმარობენ სიტყვას **ტოილო**,—გვწერს ბათუმის მეექვსე 8-წლიანი სკოლის მოსწავლე **ქეთინო კაკაბაძე**,—„შვილო, თუ გახსოვს, გუშინ საღამოს ბებიაშენმა ცხენის **ტოილო** სად მიაკიდა გასაშრობად,“—ანდა—„წადი, მიხედე **გატოილებულ** საქონელს“—ხშირად უთქვამს ბაბუას.

გამიგონია აგრეთვე სიტყვა **ჩერგილი**;“ — **დაჩერგილებულ** სოიოსთან ნამგალი დამრჩა და მომიტანეო“,— მეტყოდა ხოლმე ბებია.

— ქედის რაიონში ხმარობენ სიტყვა **ტრიზა**-ს **(გატრიზავება)**, — გვწერს ქობულეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის მეექვსე კლასის მოსწავლე **ნოდარ ბერიძე**...

რედაქცია კვლავაც გთხოვთ, ბავშვებო, **ყურადღებით** მოეკიდოთ ჩვენი ჟურნალის ამ განყოფილებას და არ დაიზაროთ **პასუხების** გამოგზავნა.

ამჯერად გთავაზობთ ამ სიტყვას:

ალაქანა—ქუსლზე ან ცერთან გაცვეთილი წინდის ხელმეორედ გამონაქსოვი.

ვეძა—მინერალური წყალი. შესაძლებელია, აქედან იყოს წარმომდგარი თბილისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება **ვეძისი**.

ქალიწი—მოცელილი, მოთიბული ბალახი, რომელიც სათიბში ზოლ-ზოლად დევს, რათა გამოშრეს და გახმეს.

რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **ფილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედ.), **გიორგი შატბერაშვილი**

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76 საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული“. უე 04137 ტირ. 35.000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2. ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 29/II-64 წ.
სტამბის შეკვ. 207. გამომც. შეკვ. 36. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

?თამაშები

№ 2-ში დაბეჭდილი „თავშესაქცევის“

პასუხები

პირველი და მეორე

პირველად შეკითხვა მისცეს **მეორეს**, შემდეგ — **პირველს.** საუბარი შედგა სამშაბათს.

მეშკვიდრის არჩევა

მეფე სამ შავ ანაბეჭდზე ნაკლებს ვერ გააკეთებდა; წინაალმდეგ შემთხვევაში, ისინი, ვისაც შავი ანაბეჭდები ჰქონდა, დაინახავდნენ უფრო მეტ თეთრ ანაბეჭდს, ვიდრე — შავს და ფეხზე აღარ წამოდგებოდნენ. ახლა ვნახოთ, რა მოხდებოდა, თუ მეფე სამ შავ ანაბეჭდს გააკეთებდა; ასეთ შემთხვევაში ოთხივე ჭაბუკი ფეხზე წამოდგებოდა, შავანაბეჭდიანი სამი ჭაბუკიდან სათითაოდ ყველა დაასკვნიდა, რომ მას აქვს შავი ანაბეჭდი, წინაალმდეგ შემთხვევაში შავ ანაბეჭდთა რიცხვი უნდა ყოფილიყო სამზე ნაკლები. მაშინ, რა თქმა უნდა, ყველა არ ადგებოდა ფეხზე. ყველა მათგანს გაუძნელდა გამოცნობა, თუ რა ფერის ანაბეჭდი ჰქონდა შუბლზე; გამოდის, რომ მეფეს სამი შავი ანაბეჭდი გაუკეთებია. ჭაბუკი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გამოიცნო, რომ მას შავი ანაბეჭდი აქვს, ასე მივიდა ამ დასკვნამდე: „მე რომ თეთრი ანაბეჭდი მქონდეს, მაშინ სამთაგან რომელიმე მიხვდებოდა, რომ მას აქვს შავი ანაბეჭდი; რადგან ისინი ამას ვერ მიხვდნენ და სდუმან, სწორედ ამიტომ უფრო უჭირთ ამ ამოცანის ამოხსნა. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ მე შუბლზე მაქვს არა შავი, არამედ თეთრი ანაბეჭდი“.

ვინ რა მოხელეა

გაბრიაძე — არქიტექტორია, ცხოვრობს მე-8 სართულზე;
შოთაძე — იურისტია, ცხოვრობს მე-3 სართულზე;
ივანიძე — კბილის ექიმია, ცხოვრობს მე-5 სართულზე;
მიქაძე — ბუღალტერია, ცხოვრობს მე-15 სართულზე.

წყალი მეორე ჭიქიდან უნდა გადავასხათ მეხუთე ჭიქაში.



2.

სახლის დალაგების დროს ძნელია ხოლმე ადგილი მოუძებნო სხვადასხვა წვრილ-წვრილ ნივთს. მაგრამ შეგიძლია ეს საქმე საკმაოდ გაიადვილო; აი, როგორ:

პირველ ნახატზე ნაჩვენებია ქსოვილის ან პლასტმასის პარკები, შიგ ფეხსაცმლის ჩასაწყობად. ეს პარკები ჩამოიკიდება კარადის კარის შიგნითა მხარეზე. ძალიან პრაქტიკულია აგრეთვე ლითონის კალაპოტები (ნახ. 2); ჩამოაცვი მათ ფეხსაცმლები და შეინახე ნიშში, თაროზე ან კარადაში. მე-3 ნახატზე ნაჩვენებია თაროებიანი ქვესადგამი, რომელშიაც თავისუფლად მოთავსდება 15 წყვილი ფეხსაცმელი. ზედა თაროზე დაიდება ჯაგრისი, ზუმბურზეთი და ფეხსაცმლის გასაწმენდი სხვა საგნები: თაროებს ჩამოფარებული აქვს ჩითის ფარდა.

ხოლო თუ გექნება ტანისამოსის ისეთი საკიდი, როგორსაც მე-4 ნახატზე ხედავ, შეგიძლია ისე ჩამოკიდო ან ჩამოიღო ესა თუ ის ჩასაცმელი, რომ სხვების ჩამოღება აღარ დაგჭირდება.

3.



4.



ИНДЕКС 76157



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოლეტიუდი

მშვიდობიანი ზამთარი